



IX წ.

საქართველო-საქართველო

IX წ.

№ 6.

კვირა, 4 თებერვალი 1901 წელსა.

№ 6.

გაზეთის ფასი: ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კ., თფილისს გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვით 2 მან., თითო ნომერი—სამი შაური.

ხელის-მოწერა დაიწყო: თფილისში—„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში, და „კვალის“ რედაქციაში, საპიორის ქ., № 15. ბელაჯოგანი № 734.

ფოსტის აღრესი: Тифлисъ, редакція „КВАЛИ“.

შინაარსი: მე-XIX საუკუნის მოღვაწენი.— შინაური მიმოხილვა.— სხვა-და-სხვა ამბები.— კორესპონდენციები.— წერილი ბათუმიდან.— პატარა წერილი. გ. ბოკერისი.— რუსეთის ცხოვრება.— საზღვარგარეთ.— ცოლი და ქმარი მოთხრობა ეგ. ნინოშვილისა.— ლექსი ს. მოუსვენარისა.— ჰანწკები რიგოლეტოსი.— სიტყვა-კაზმული მწერლობა იგ. გომართელისა.— ამბები სომეხთა ცხოვრებიდან.— გურიის შეაბრეშუმეთა საკურადლებოდ. ს. ჭი-სა.— ნაწყვეტები.— სამეცნიერო ცნობები.— წერილი რედაქციის მიმართ და განცხადებები.

მოგაგონებთ ხელის-მომწერლებს, რომ ვინც თავის დროზე არ შემოიღიანს ხვედრ ფულს, გამეთის გზავნა მოესპობა.

### მე-XIX საუკუნის მოღვაწენი.

#### I. პოლიტიკოსები.

##### 2. მეტერნახი\*).

საფრანგეთის დიდმა რევოლიუციამ და „მოუსვენარმა“ ნაპოლეონმა შეაშფოთა მთელი ევროპა. ევროპა მშინ მთლათ ერთიან, გარდა ინგლისისა, ბატონ-ყმურ და ფეოდალურ-პოლიციურ მდგომარეობაში იყო. არსად არავითარი თავისუფლება, არავითარი თანასწორობა და ხალხთა თვით-ცნობიერება. და აი ასეთ ქვეყანაში შემოხეთქეს ფრანგებმა და ხმა-მაღლა გამოაცხადეს: ძირს მტარვალობა, გაუმარჯოს თავისუფლებასო! ამ ხმას აქაიქ ბანი მისცეს ნასწავლმა პირებმა და განსაკუთრებით სტუდენტობამ. ყველა ამან დიდათ დააფიქრა გერმანიის, ავსტრიის, იტალიის და სხვა სახელმწიფოთა გვირგვინოსნები და მათი მთავრობები. და აი, ამათ განიზრახეს ისეთი კავშირის შედგენა, რომელსაც შესძლებოდა საფრანგეთის განმათავისუფლებელ იდეების ძალით დათრგუნვა და თავის ქვეყნებში შერყეული ავტორიტეტის განმტკიცება. ერთი სიტყვით, რევოლიუციის წინააღმდეგ საჭირო იყო რეაქცია და მით ძველი დახავსებული წყობილების შერჩენა. და აი, ისტორიამ ამ მიმდინარეობის მეთაურიც იშოვა და რეაქციონერთ მფარველათ მოუვლინა. ეს პირი გახლდათ თავადი კლემანს მეტერნახი.

მეტერნახი, ტომით გერმანელი, დაიბადა 1773 წ. ქ. კობლენცში (რეინზე), სწავლობდა სტრასბურგს ფრანკ-

ფურტსა და მაინცში. 1801 წ. ის დაინიშნა ავსტრიის ელჩათ პირველათ დრეზდენის სასახლესთან, მერე ბერლინის და 1809 წ. ნაპოლეონის წინაშე. როცა ნაპოლეონის ომები დაიწყო, მეტერნახი დაბრუნდა ვენაში და აქ შეადგინა პლანები შერყეული ურთიერთობის გასამაგრებლათ. იმან იფიქრა: ყველა ეს აზრები საფრანგეთიდან მოდის, მასასადამე, საფრანგეთის დამარცხება და მისი ძველ კალაპოტში ჩაყენება იხსნის დანარჩენ ევროპას განსაცდელისაგანო. ევროპის მეოთხე კოალიციამ მართლაც დასცა ნაპოლეონი და 1815 წ. პარიჟი აიღეს. ამავე წელს აქ, მეტერნახის, ტალიერანის და სხ. მეცადინეობით დაარსდა ეგრედ წოდებული „წმინდა კავშირი“, რომლის წევრათ შეიქმნენ ავსტრიის იმპერატორი, პრუსიის მეფე, გერმანიის მთავრები, რუსეთის იმპერატორი—ერთი სიტყვით, ყველა გვირგვინოსნები, გარდა ინგლისის მეფისა. „კავშირის“ მუხლები საჯაროთ გამოცხადდა 1816 წ. და შეიცავდა შემდეგს: მოკავშირენი ვალდებულნი არიან ერთმანერთი უყვარდეთ, ერთმანერთს გაჭირვების დროს ეხმარებოდენ და ქვეყანაში სარწმუნოებას და მშვიდობიანობას იცავდენ. იმავე წელს ნაპოლეონი ელბის კუნძულიდან ხელ-ახლა მობრუნდა და საფრანგეთის მეფედ გახდა. „წმინდა კავშირმა“ ფეხზე დააყენა მთელი საომარი ძალა და პარიჟში გამოეშურა ნაპოლეონის გადასადგებათ. საფრანგეთში გამეფდა ისევ ლიუდოვიკი, რომელმაც დაიწყო ძველი წესების აღდგენა. მეტერნახი ამით, რასაკვირველია, არ დაკმაყოფილდა. ის შეუღდა თვით გერმანიაში ისეთი ზღუდების ამართვას, რომლის გარღვევა ხალხთა მოძრაობას ვერ შე-

\*) მეტერნახის სურათის კლიშე სხვა კლიშეებთან ერთათ პეტერბურგიდან გამოვიგზავნეს 25 იანვარს, მაგრამ ამ ნომრისათვის, სამწუხაროთ, ვეღარ მოგვისწრო. მომავალ ნომერში დაგეგმვათ მეტერნახის სურათს, სხვა სურათთან ერთათ.



სძლებოდა. მეტერნიხის წინადადებით, გერმანიის მთავრობის წარმომადგენელი 1819 წ. შეიყარენ კარლსბადში და შეიმუშავეს სახელოვანი „კარლსბადის განაჩენი“. აი ამ განაჩენის მუხლები: 1) დაარსდეს აღმასრულებელი კომიტეტი, რომლის მიზანია გერმანიის მთავრობათა საბჭოს გარდაწყვეტილება საზოგადო წეს-რიგის დაცვის შესახებ სისრულეში შოიყვანოს; 2) დაარსდეს მთავრობის განსაკუთრებითი ზედამხედველობა უნივერსიტეტებზე, პროფესორთა ლექციების მიმართულებაზე და სტუდენტთა საიდუმლო კავშირებზე; 3) საერთო ზედამხედველობა ცენზურის მოქმედებაზე და სასტიკი ცენზურის დაწესება ბეჭდვითი სიტყვაზე; 4) „რევოლიუციონური და დემოკრატიული მოქმედების“ გამოსაკვლევათ ერთი საერთო კომიტეტის დაარსება; და 5) „პირველი და მიუცილებელი საქმეა“ მონარქიული პრინციპის დაცვა და მისი გავრცეება. ეს გადაწყვეტილება იმავე წელს მიიღო გერმანიის და ავსტრიის შეერთებულმა მთავრობებმა. ამას მოჰყვა შესაფერი ზომები და მთელ ევროპაში დამყარდა „მყუდროება. ძლიერ-მოსილი მეტერნიხი 1821 წ. დაინიშნა ავსტრიის პირველ მინისტრათ. მისი პლანებით მოქმედებდნენ არა მარტო ავსტრიის, არამედ პრუსიის და სხვა ქვეყნების მეფენიც. როცა ავსტრიის მეფეს ფერდინანდ I შესჩივლეს სახელმწიფოს ფინანსიურ გაჭირვებაზე და ხალხის გაღატაკებაზე, მან უპასუხა: „მე და ჩემი მეტერნიხი ხომ კიდევ გავძლებთო!“

მეტერნიხის რეაქციონური პოლიტიკა შეიქმნა ევროპის საერთო პოლიტიკათ, რის შედეგი იყო 1848 წ. რევოლიუცია როგორც საფრანგეთში, ისე გერმანიაში და ავსტრიაში. ვენის აჯანყებულებმა პირველათ მეტერნიხის გადაყენება მოითხოვეს და ისიც ჩუმათ გაიქცა ინგლისში. ამნაირათ, მეტერნიხის პოლიტიკას თან მოჰყვა მისი დაცემა და მასთან ერთათ დაცემა მისი პოლიტიკისა. ის სამშობლოში დაბრუნდა 1851 წ. და პოლიტიკისაგან სრულებით მოშორებული გადაიკვალა 1859 წ.

**შინაური მიმოხილვა.**

ქუთაისის ამბები კიდევ იპყრობს საზოგადოების ყურადღებას. როგორც მკითხველებმა იციან, აქაური ქალაქის თავი ბ. ლ. ლოლუა პასუხის გებაში იქმნა მიცემული და ამიტომ იძულებული გახდა ქალაქის მეთაურობა დაეტოვებინა. ამით მის პარტიას ერთი ბელადი დაეკარგა და, რასაკვირველია, მოწინააღმდეგეთ გაეხარდებოდათ. ამ სიხარულმა ერთ ქართულ გაზეთშიაც იჩინა თავი. ჩვენ არ ვართ იმ აზრის, რომ მოწინააღმდეგე საზოგადო ასპარეზზე დამარცხდეს სრულიად გარეშე ძალით, რომელსაც არავითარი კავშირი არ აქვს ამ ბრძოლასთან. ბ. ლოლუა დამარცხდა, მაგრამ არა ოპოზიციის წყალობით, და ეს სასიხარულო-კი არა, დიდათ სამწუხარო უნდა იყოს ყოველი ქვეშაირი მებრძოლისათვის. და თუ მაინც მოწინააღმდეგის ასეთი დამარცხება გვახარებს—ეს მხოლოდ ჩვენს უსუსურობას და მოქალაქობრივ გაუწვრთნელობას მოწმობს და სხვას არაფერს. ჩვენ არ ვიცით, რატომ მისცეს ბ. ლოლუა პასუხის გებაში, მაგრამ ის-კი ცხადია, რომ რაღაც სასჯელის ღირსი მოუშობდა. და აი, თუ რამ სამწუხაროა აქ, ეს ისევ ის, რომ ქუთაისში დამნაშავესაც შეუძლია

საზოგადო საქმეების სათავეში მოექცეს და პარტიულ ბრძოლაში გამარჯვებული გამოვიდეს. ქუთაისის მეტერნიხის წოდებულმა ოპოზიციამ, მიუხედავთ იმისა, რომ ხმოსანთა უმრავლესობა მისი პარტიისაა, ქალაქის თავის არჩევაკი ვერ მოახერხა და ქალაქი ხელში ჩაუგდო ისეთს, რომელიც მერე დამნაშავეს სკამზე უნდა დამჯდარიყო. ეს უფრო ოპოზიციის დამარცხებაა, ვინემ ლოლუასი...

ქუთაისის ღღემლის ვერ გამოუჩნდა ისეთი ჯგუფი, თუ გინდა პარტია, რომელსაც მართლა კვალი დაეჩნოს მის საზოგადო საქმეებში. აქ უფრო სიტყვებს ვისმენთ, ხოლო საქმეს-კი ვერ ვხედავთ. ნუ თუ ეს იმის ბრალია, რომ ქალაქის საქმის კაცები არა ჰყავს! არა, საქმის კაცები, უეჭველია, ჰყავს, მაგრამ ისინი ან არ ჩანან, რადგან მყვირალთა შორის ჩარევა ეჩოთირებათ, ან და, თუ ჩანან, ისე, სხვათა შორის, ხოლო ძალა და გავლენა-კი სხვებს აქვთ. ქუთაისში ორი პარტიაა გამოცხადებული: ოპოზიცია და ჩიკვიდიე-ლოლუას პარტია. ჩვენ გვწამს, რომ ამ ორსავე ბანაკში მოიძებნება ნამდვილი საქმის ხალხი და საზოგადო საქმისადმი გულ-შემატკივარნი, მაგრამ ღღეს, პირადი თუ საზოგადო ბრძოლის გამწვავებით, ისინი ერთმანერთისაგან დაცილებულნი არიან და მისმისდა იღწვიან. არის აგრეთვე ამ ორი დასის გარეშე მდგომნი, რომელთაც არც ერთი ეს არ მოსწონთ და განკერძოებულ ჯგუფს შეადგენენ. ამათშიაც მოიპოვებიან ნამდვილი მოღვაწენი, სურვილიც აქვთ მოღვაწეობისა, მხოლოდ ვერც ერთ ბანაკს ვერ მიმხრობიან. აი, ამ სამი ბანაკიდან უნდა გამოიკრიბოს ქუთაისის მოწინავე და საქმის მცოდნე პარტია და როგორც ქალაქის, ისე ბანკის თუ სხვა საქმეებს დაეპატრონონ. ასეთი ჯგუფის შედგენა ახლა შესაძლებელი უნდა იყოს, რადგან ლოლუა ჩამოეცალათ და თვით ოპოზიციის წევრებმაც კრიტიკულათ შეხედეს თავის პარტიას. ამ დასის ერთი უახლოვესი საზრუნავი ქალაქის თავის არჩევანი უნდა გახდეს და აი ეს არჩეული იქნება იმავე დროს სულის ჩამდგმელი ამ ნამდვილ მოღვაწეთა ჯგუფისა. ერთი სიტყვით, დროა ქუთათურებმა მეტიხარა და უსაქმო ხალხი განდევნონ საზოგადო ასპარეზიდან და მათ მაგიერ უფრო დარბაისელნი და საქმიანნი მოიწოდონ. ამას ჰქვია ძალთა კონცეტრაცია, რასაც გაჭირვების დროს ყოველგან მიმართავენ. ხოლმე და, მერწმუნეთ, ასეთ გაჭირვებაშია ღღეს ქუთაისიც...

თფილისის ქართველ ინტელიგენციაში ამ ბოლო დროს აღიძრა სურვილი დაბალ ხალხთან დაახლოვებისა და მის სასარგებლოთ რამის გაკეთებისა. მაგალითისათვის საკმარისია დავასახელოთ სახალხო თეატრი. მაგრამ არ შეგვიძლია არ ვთქვათ, რომ ამ კეთილ სურვილს თანდათან ცუდი მიმართულება ეძლევა. ყოველგან და ყოველთვის მოწინავე პირები მეცადინეობენ ხალხის საქმეთვით ხალხს გააკეთებინონ, თვით ხალხში აღძრან თვითმოქმედებისა და მოღვაწეობის ხალხისი. ჩვენი ინტელიგენტები-კი სწორეთ წინააღმდეგ გზაზე დამდგარან. სახალხო თეატრი პირველათ თვით ხალხმა, ე. ი. ხელოსნებმა დააარსა, ის უდგა სათავეში და სცენაზედაც უმთავრესათ ხელოსნები გამოდიოდნენ. შემდეგ ამისა ხელი მოჰკიდეს ინტელიგენტებმა და ისე დააყენეს საქმე, რომ ხელოს-





ნები განშორდნ და მარტო-მარტო ისინი დარჩნ. სცენაზე გამოიყვანეს ქართული თეატრის არტისტები, მოიწვიეს არისტოკრატიის ქალები ამა თუ იმ როლის შესასრულებლათ და სცენიდან ასე თანდათან განდევნეს ხალხის წარმომადგენლნი. თეატრის დარბაზი აქრელდა მაღალი წრის მაყურებლებით, განსაკუთრებით წინა რიგები დაიჭირეს ამათ, ბილეთის ფასებიც ასწიეს; ერთი სიტყვით, ხალხი ნელ-ნელა დააშორეს სახალხო თეატრის საქმეს. ამას ამტკიცებს ისიც, რომ გასულ კვირას მომხდარ სახალხო თეატრის კრებაზე დამსწრე ხელოსანთა რიცხვი ხუთს არ აღემატებოდა, თუმცა დარბაზი თითქმის სავსე იყო. ყველა ეს გვიჩვენებს იმას, რომ ხელოსნები გაუფლგრილდნ მათ მიერ დაწყებულ საქმეს და ეს არა იმიტომ, რომ მათ საქმის გაკეთება არ სურდეთ, არამედ იმიტომ, რომ საქმეს სხვები დაეპატრონნ და ისინი ვერ მივიდნ. საქირაა, სახალხო თეატრის მოღვაწე ინტელიგენტებმა დაიახლოვნ ხელოსნები და მათთან ერთად აკეთონ საქმე. თვარა ერთის მოსვლით მეორე მიდიოდეს—ვერაფერი თავმდებია „სახალხო საქმის“ რივიანათ სამსახურისა.

\* \* \*

ასეთსავე ცალმხრივ მიდრეკილებას ვამჩნევთ ღურგალთა ამხანაგობა „შრომაში“. წესდების ძალით ეს ამხანაგობა დამყარებულია შრომაზე და ესეც ღურგალთა შრომაზე. აქ ღურგლები ერთდებიან, ხსნიან საერთო სახელოსნოს, მუშაობენ ერთათ და ორიოდ გროშს იგებენ. აი, ეს არის მთავარი აზრი „შრომისა“, მაგრამ მას გამოუჩნდნ ვარეშე პირები, ინტელიგენტები, რომლებიც აცხადებენ, რომ აქ საქმე პაიხეაო, გაქვს სრულათ გადახდილი 25 მან.—ხმა გაქვს, არა გაქვს და ხმასაც ვერ მიიღებო. ასეთი სრულ-პაიხანი სულ იქნება 20—30, რომლის უმრავლესობა ვარეშე პირებია. ხლო თვითონ ღურგლები, რომელნიც ქარხანაში მუშაობენ და „შრომა“ თავისი შრომით გამოაქვთ, ხმას მოკლებულნი არიან. გამოდის, რომ ამხანაგობა ყოფილა არა იმათი, ვინც მუშაობს, არამედ იმათი, ვინც არ მუშაობს და ქარხანასთან არავითარი დამოკიდებულება არ აქვს. მუშები ოფის ღვრიან, საქონელს ამზადებენ, ჰყიდიან, ფულს იგებენ და აი ეს მოგება დივიდენდის სახით ვარეშე პირთ (სრულ-პაიხანთ) ურიგდებათ! ეს იგივე ექსპლუატაციაა შრომისა კაპიტალისაგან, რასაც ყოველნაირ ქარხანაში ვხვდავთ და რის წინააღმდეგ არის მიმართული „შრომის“ მთელი წესდება. ფინანსთა სამინისტრომ სწორედ ამიტომ შეიტანა წესდებაში, ამხანაგი უთუოდ ღურგალი უნდა იყოსო, რომ ასეთი ექსპლუატაცია არ მომხდარიყო. და ხელოსნებიც მოვალენი არიან ეს დედა-აზრი სავსებით დაიცვან. ვარეშე პირთ შეუძლიანთ დაეხმარონ ამ კეთილ საქმეს და არა გამოაცხადონ: ღურგლები რას მიქვია, „შრომა“ ჩვენ ვართო! იმედია, დღევანდელი კრება მაინც მოუღებს ბოლოს ამ არევ-დარევს და საქმეს კანონიერ კალაპოტში ჩააყენებს.

სხვა-და-სხვა ამბები.

ბათუმიდან გვწერენ: 29 იანვრის მორიგ სხდომაზე უნდა აერჩიათ გამგეობის წევრი, რადგან ბ-ნ ივანოვს ამ

თანამდებობაზე სამსახურის ვადა გაუვიდა. კენჭი უყარეს ისევ ბ-ნ ივანოვს, რომელიც 19 შავით, წინააღმდეგ 14 თეთრისა—გაშავებულ იქმნა. ამგვართ ამ მოკლე ხანში მოხდება არჩევა ახალი წევრისა.

→ დღეს, 4 თებერვალს, აკურთხებენ თფილისის არტიული საზოგადოების ახალს შენობას. დღესვე საღამოთი შენობის სათეატრო დარბაზში გაიმართება წარმოდგენა ქართულ, რუსულ და სომხურ ენაზე თეატრის მოყვარულთაგან.

→ უკანასკნელი გამოანგარიშებით თფილისის ქალაქის თვით-მმართველობას 1901 წელში 17,410 მან. დეფიციტი ექნება.

→ კავკასიაში და კასპიის იქითა მხარის მადნების დასამუშავებლათ თფილისში არსდება ახალი სამთო-სამრეწველო აქციონერული საზოგადოება, რომელსაც ძირითადი თანხა ექნება 500,000 მან.

→ ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისიას უკვე შეუშეშავებია პროექტი რვა კლასიანი სამექანიკო სასწავლებლისა, რომელიც განუზრახავთ აქვთ დაარსონ ავლაბარში, იმ შემთხვევაში, თუ შუამდგომლობა ავლაბარში პროგიმნაზიის დაარსების შესახებ არ იქნა შეწყნარებული, ვისგანაც ჯერ არს.

→ განუზრახავთ რკინის გზის სატეხნიკო სასწავლებელში თეორიულ კურსს ორი წელიწადი მიუმატონ პრაქტიკულ სამუშაოსათვის და საზოგადოთ გაათართოვნ სასწავლებლის პროგრამა. განუზრახავთ, აგრეთვე, ამ სასწავლებელში მიიღონ მხოლოდ რკინის-გზის მოსამსახურეთა შვილები.

→ ბათუმის საქალებო გიმნაზიის შენობა ერთიანათ დამწვარა.

→ ბათუმიდანა გვწერენ: ერთ ახალგაზდა ქალს დახვდა კარებში ვიღაც მანდილოსანი შ—ი დიდი ჯოხით და იმდენი სცემა, რომ თავ-პირი სისხლით მოუსვარა. ჯოხით შეიარაღებული მებრძოლი თანა სცემდა და თან დაჰკიოდა: „დამაყენე მე ჩემთვის, ნუ მართმევ ქმარსო“. ნაცემი საავადმყოფოში გაგზავნეს.

→ როგორც შორაპნის მაზრის, ს. საქარის ამერიკულ ვაზის სანერგეს გამგის ანგარიშიდან სჩანს, 1900 წლის განმავლობაში სანერგესთან დაარსებულ გამოსაცდელ სკოლაში სწავლობდა 20 კაცი. ამათგან წლის განმავლობაში სკოლიდან გამოსულა 10 და შემდეგ კიდევ მიუღიათ 8, ასე რომ 1901 წლის 1 იანვრისათვის სკოლაში ყოფილა სულ 18 კაცი. მოსწავლეთაგან 4 კაცი ყოფილა აზნაური, 1 სასულიერო წოდებისა და დანარჩენი გლეხები. საანგარიშო წელს სკოლის შესანახათ დახარჯულა 2,245 მანეთი და 95 კაპ.

ამავე ანგარიშიდან სჩანს, რომ გასულ წელს სანერგესთან არსებულ პრაქტიკანტთა სკოლაში 20 კაცს უსწავლია ნევენახეობა, მებაღეობა და მებოსტნეობა.

→ მარტყოფის, ნორიოს, დიდი-ლილოს და პატარა ლილოს მცხოვრებთ ხელ-შეკრულება დაუდგენიათ შესახებ ქსენონის გახსნისა, რისთვისაც უკვე დაუჭირავებიათ შენობა.

→ ნება დაურთავთ, რომ გაიხსნას პარალელული განყოფილება ბათუმის გიმნაზიის II კლასში.

→ საგუბერნიო დაწესებულებებში ცვლილებათა მოხდენის შესახებ პროექტი უკვე შეუშეშავებიათ და შემ-



დღეის სესიის დროს სახელმწიფო საბჭოში იქმნება წარდგენილი განსახილველად.

→ კიევში 25 იანვარს დაიწყო უფროს საქარხნო ინსპექტორთა კრება. კრებას ლაპარაკი ჰქონია იმ საშუალებათა შესახებ, რომელთა შემოდგებაც სასურველია ქარხნებში იქ მყოფ მუშათა ჯანმრთელობის, სიცოცხლისა და ზნეობის დასაცველად. კრებასვე განუხილავს პროექტი სახელოსნო დაწესებულებებში მთავრობის მხრივ ზედამხედველობის დაწესების შესახებ.

→ ამიერ კავკასიის ქალაქების და დებების უძრავ ქონებათ გადახდებთ მიმდინარე წელს: თფილისის გუბერნიაში—134,000 მან.; ერენისაში—29,000, ქუთაისის გუბერნიაში—63,000, განჯის გუბერნიაში—29,000 ბაქოს გუბ.—104,000, ჩერნომორის გუბ.—6,000, ყუბანის ოლქში—45,000, ყარსის ოლქში—7,000, დელესტანში—10,000 და ზაქათალის ოლქში—800 მ.

→ თფილისის ფოსტა ტელეგრაფის კანტორის მოხელეთა შტატი გადიდებულ იქნება. დაწესებულ იქნება 52 ახალი თანამდებობა.

კ მ რ მ ს კ მ ნ დ მ ნ ხ ი მ ბ ი .

სოფ. ბუბნისა (გორის მაზ.). ერთს ადგილობრივ საჭირობორტო საკითხს შეადგენს ქარულსა და ბუბნისს შუა არსებული ბორანი მდ. მტკვარზე. ვინც-კი იცის გორის მაზრის ამ საწილის ავი და კარგი, იმისთვის დღესავით ცხადია, რა სათლელი დუმა განსვით ეს ბორნის ადგილი. ამ ადგილას ექვსის წლის წინათ ს. რუისში მცხოვრებნი ნ. და ზ. გამსახურდაშვილები ერთის მხრით ბუბნისელებთან და მეორე მხრით თ. თ. ციციშვილებთან ხელშეკრულების ძალით ბორანს ამუშავებდნენ. ამ სათლელმა დუმამ ა. ნ. ც.—შვილს და მის დახლიდარს ი. მ. შიშვილს სადერდელი აუშალა. ერთ შეკიერ დღეს თავადი მიეჭრა ბორნის ზატრანთ გამსახურდაშვილებს, რომელთაც ბორანის ძალით ვადა არ გასვლდათ, ძალით ბორნის მოძრაობა შეუჩერა და თოკიც ჩამოასწრებინა: ჩვენ უნდა შევექცეთ ამ დუმას, „ბორანი ჩვენ უნდა გავაბათო“. ამგვარმა მისმა საქციელმა, რაცორც მოსალოდნელი იყო, უდავოდარბოთ და შეუშინეულათ ჩაიარა.

განსულა ექვსმა წელიწადმა და გასული წლის 16 მარტს სანაზირის იჯარით მთელბუფობის ვადაც გავიდა. თავადმა და მისმა „ანგულაზმა“ (ასე ეძახის ურიანს) ბუბნისელებთან წინანდელი პირობების განახლება მოინდომეს, მაგრამ წინანდელ პირობებში წვენი-ნაწვენი ბუბნისელებმა მათი პარზაში ადარ ინდომეს: „ჩვენი მამულით ახლა ჩვენ უნდა ვისარგებლოთ“ — შეუთვალეს. დადნდენ მებრანები: ხუმრობა საქმეს განა სათლელი დუმის ხელიდან გამოცლან?! თავადმა მოწინააღმდეგეებს შეუთვალა მუქარა, რომელიც ერთ-ერთ ბუბნისელებთან ცემით სისრულეშია მყოფანა, მაგრამ მცხოვრებლებმა ადმოთქმული ადარ გადათქვეს: „პირობის ძალით, ბორანი ჩაშალე: ჩვენი წელის პირი ჩვენ გვინდა“ — შეუთვალეს. „მე ჩემი ხუბით ბორანს არ ჩავშლი და ვინც კარგი ბიჭი ბიძანდებს თქვენში, მობძანდეს და ჩამიშალოს“ — მოვიდა პასუხად. მცხოვრებთ მოიუარეს თავი, სადაც, ბევრი სჯობასის შემდეგ, ამოიჩაიეს თავიანთ შორის ორი ვაცი, რომლებსაც სანამართლებში ამ საქმის წარმება მიანდეს. მკათათვის პირველ რიგებში მოდებებმა სოფლის გაჭირვებული მდგომარეობა აცნობეს ბ. მაზრის უფროსს, რომლის განკარგულებით 19 მკათათვეს ადგილობრივ გამოსაძიებლათ და თავისის მოხსენების წარსადგენათ მოვიდა ხადისთავის ბოქუელი. ბუბნისელთა განსა-

ცვიფრებლათ გამოძიებამ აღმოჩინა, რომ სასოფლო-სამეურნეო ადგილი ბუბნისის ერთ მცხოვრებს იღ. არდემანაშვილს თვით „კნიაზის“ რჩევით (სამდელიის წყაროებიდან ვიცით, რომ ეს ასე იყო) მიუხედავად ბუბნისის და ერთმანეთისთვის სასწრაფოთ შინაურულის წესით გამოძინსხლელი პირობაც მიეცათ: „კნიაზის“ უნდა ესარგებლან ვითომდა იღ. არდემანაშვილის საბორნე ადგილით, რაისთვისაც უკანასკნელს უნდა ედო პირველისკან წელიწადში ათი თუმანი(?). ბოქუელმა სწრაფად მათი პირობის წერილის, სადაც „მელას თავისი კუდი მოწმით მიჰყავდა“ და მიუბრუნდა: „შენ სხვისი საკუთრების მითვანებისთვის სანართალში მიეცემი“. გამოძიება თავის დროზე წარედგინა ბ. მაზრის უფროსს, რომლის განკარგულებით თავადმა და იმისმა „მარჯვენა ხელმა“ ბორნის გაუქმებაზე ხელი უნდა მოაწერან, მაგრამ უკანასკნელმა ამხე უარი განაცხადეს. ბუბნისელები-კი გულ-ხელ დაკრეფილნი და ღოდინით მოთმინებადაკარგულნი მომავალს შესტყვიან.

ტეტიანაშვილი.

სოფ. სავარჯო. ვგონებ ქურობა და ბორტ-მოქმედებს ისე არსად არ უნდა იყოს გავრცელებული, რაცორც ამ ჩვენს ბუბნისელებს სავარჯოშია. გასულ შობა-ახალ წლის უქმეებში სოფლმონ ახუშვილის ფარნის დუქანი გასტყვის და რაც კარგი ძვირფასი რამ განსვლდა, ასე სამოცი თუმნის (600 მ.) სადირადი, გაიტანეს. ვის გამეჩები მიჰმარეს, ვის ცხენები და სხვა ოთხეუნი ცხოველი. შინაურ ორინველებს ხამ მთლათ მუსრი გაავლეს. ამ მოკლე დროში ათამდის მარტო თავის ძირები გადაბუჯეს, ადბათ მტრობით.

არც აქურ სანახლ წიგნთ-საცავს აყრია კეთილი დღე! ეს მდბობ ხალხის სულიერი მისახრდობელი ბუბნის ანაბრადს თავ-მინებებუელი. წიგნთ-საცავის შენობას მაგარი კლიტე ადევს...

დასსრულ, ორი-დესიტიკვა თვით წიგნთ-საცავის მმართველის შესახებაც.

არ ეპატოვება ახალ-გაზდა კაცს, რომელსაც საშუალო სასწავლებელი დაუსრულებია და პირველივე ნაბიჯი ისეთი ენერგიით შესდგა ცხოვრების კიბეზედ. თავისუფალი დრო ძლიან ბევრი აქვს ბ. მმართველს და ჩვენ გვიკვირს, რატომ გულ-გასართობათ მინც არ კისრულობს ასეთი კეთილი საქმის წინ გაძდოლას... სან — ონ.

წერილი ბათუმიდან.

ბათუმის საბჭოს 22 იანვრის მორიგი სხდომა. კრებას თავმჯდომარეობდა ქალაქის თავი ბ-ნი ასათიანი. საბჭოს სეკრეტარმა წაიკითხა წინანდელი სხდომების (18-სა და 20 დეკემბრის) „პროტოკოლი“, რომლიდანაც სჩანს, რომ ეს სხდომები მხოლოდ, სხვა ზოგიერთ წვრილი მან საქმეების გარდა, მონდომებია მდგომარე წლის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას. ცოტაოდენი შეცვლით საბჭოს დაუმტკიცებია ეს ხარჯთ-აღრიცხვა. საინტერესო კამათი გამოუწვევია ქალაქის პირველ-დაწყებითი სკოლის მასწავლებლის ბ-ნ მგელაძის თხოვნას, რომელიც ჯამაგირის მომატებას თხოულობდა. ეს თხოვნა გამგეობის დასკვნით მოუხსენებია კრებისთვის გამგეობის წევრს ბ-ნ გრ. ვოლსკის. გამგეობას საჭიროთ არ უცვნია მასწავლებლისთვის ჯამაგირის მომატება შემდგომ მოსაზრობის გამო: ბ-ნ ვოლსკის შეუკრებია სტატისტიკური ცნობები ჩვენი და რუსეთის პირველ-დაწყე-





ბითი სკოლების მასწავლებლების ჯამაგირის შესახებ და ამ ცნობებს იმ დასკვნამდე მიუყვანია, რომ პირველ-დაწყებითი სკოლის მასწავლებელნი გაცილებით ნაკლებ ჯამაგირს იღებენ, ვინემ ბ-ნი მგელაძე, რომ 50 მ. თვეში (სახლის, მოსამსახურის და შემა-განათების გარდა) სრულიად საქმარისია. ხმოსანი გრ. ელიავა არ დათანხმებია ბ-ნ ვოლსკის აზრს. მას. უთქვამს, რომ მასწავლებლის შრომა მეტად სამძიმოა, ქალაქის მოვალეობაა, რომ მან მის მასწავლებელს გაუადვილოს თავის რჩენა, გაუადვილოს იმდენად, რომ მასწავლებელი კერძო ვაკვეთილებს არ ეძებდეს და მთელს თავის შრომას იმ საქმეს ანდომებდეს, რაც მისი პირდაპირი მოვალეობაა. ამისათვის, თვით სასწავლებლის ინტერესია, რომ ბ-ნ მგელაძეს ჯამაგირი მიემატოს. ბ-ნი კ. ჩხეიძე დათანხმებია ბ-ნ ვოლსკის ციფრებში. მას უთქვამს, რომ ეს ციფრები მართალია, მაგრამ მისგან გამოყვანილი დასკვნა-კი სიმართლეს მოკლებულიაო. ჩვენ ამ შემთხვევაში არ უნდა ვიხელოვდეთ იმით, თუ სხვაგან რა ჯამაგირს იღებენ, არ უნდა მივიღოთ აუცილებელ კანონად ის, რომ სხვაგან შიათ და აქაც უნდა შიოდეთო. მასწავლებლის ჯამაგირისთვის თვით მცირე მომატებასაც, თუ გინდ 5 მანეთისას თვეში, დიდი შეღავათი შეუძლია მასწავლებლისათვისო. დაუდგამთ კენჭის ყუთი და ხმის უმეტესობით გადაწყვეტიათ ბ-ნ მგელაძისათვის ჯამაგირის მომატება 200 მ. საქალბო პირველ-დაწყებითი სკოლის მასწავლებლისთვისაც მიუმატებიათ ამდენთივე. საყურადღებოა აგრეთვე საბიუჯეტო კომისიის აზრი შესახებ ერთი პირისაგან ორი თანამდებობის ასრულებსა. კომისიის ქალაქის ინტერესებისათვის საჭიროთ უტყვია, რომ ქალაქს საკუთარი ბეითალი ჰყავდეს. ამ დრომდის-კი ამ მოვალეობას, თავის მოვალეობასთან ერთად, ასრულებდა ბათუმის ოლქის ბეითალი.—ყოვლად შეუძლებელია, რომ ერთი და იგივე პირი იმდენად ემსახუროს თავის ორ მოვალეობას—ამბობს კომისია,—რამდენათაც ამას შეძლებს ის, ვისაც ჩაბარდება ერთი მოვალეობა. ამ შემთხვევაში მისი შრომა ორათ არ გაიყოფა, არამედ მთელათ მოხმარდება იმ საქმეს, რის შესრულებაც დაავალეს ამ პირსაო. ამისათვის თვით საქმის კეთილ-მდგომარეობა მოითხოვს, რომ ქალაქს საკუთარი ბეითალი ჰყავდესო. საბჭოს მიუღია ეს მოსაზრება და გადაწყვეტია კომისიის თანახმით. როცა ქალაქის საავთმყოფოს ექიმების ჯამაგირზე დასულან, ხმოსან პალმს უთქვამს: საავთმყოფოს გამგე ექიმის და ხირურგის ჯამაგირები ისე მცირეა, რომ ამას ჯამაგირი-კი არ უნდა ვუწოდოთ, არამედ „მისვლა-მოსვლისათვისო“. ხმოსანი გრ. ელიავა დათანხმებია პალმს იმაში, რომ ამ პირებს მართლა მცირე ჯამაგირი ეძლევათ და დავარქმევთ ამას ჯამაგირს, თუ „მისვლა-მოსვლისათვის“, ამით საქმე ოდნავ არ შეიცვლებაო—უთქვამს მას,—მე იმ აზრისა ვარ, რომ ქალაქს ჰყავდეს საკუთარი ექიმი და საკუთარი ხირურგი, რაც ახლა არ არის. საავთმყოფოს გამგეს თავისი საკუთარი საქმეები აქვს, ხირურგს კიდევ თავისი (ის ქალაქის სასანიტარო ექიმი) და ეს ორ-ორი მოვალეობანი, თითო-თითო პირისადმი მინდობილნი, არ არის სასურველი; ეს მიტომ, რომ, მართალი რომ ვთქვათ, ახლა, საქმის ამგვარ მდგომარეობაში, ქალაქს არ ჰყავს არც სასანიტარო ექიმი, არც ხირურგი და არც საავთმყოფოს

გამგე, რასაც, რასაკვირველია, დიდი ზიანი მოაქვს თვით საავთმყოფოსათვის და ქალაქისათვის. ქალაქს მოეპოვება იმდენი საშუალება, რომ მას საკუთარი ექიმი და ხირურგი ჰყავდეს. საავთმყოფო საქველ-მოქმედო დაწესებულება არ არისო. „პროტოკოლის“ წაკითხვის შემდეგ ბ-ნმა ელიავამ მოითხოვა, რომ შეტანილ იქნას ოქმში შემდეგი მისი სიტყვები, რაც მაშინ კრებაზე ვთქვიო, სახელდობ ის, რომ ამგვარივე აზრის იყო გამგეობა წინათ, მარა ერთი წევრი არ დაეთანხმა დანარჩენ ამხანაგების ამგვარს გადაწყვეტილებას და ეს კითხვა საბჭოს დაუყენეს გადასაწყვეტად. საბჭომ-კი ისე გადაწყვიტა, როგორც წევრი თხოულობდა, ე. ი. საბჭომ არ ცნო საჭიროთ, რომ ერთი პირისათვის ორი მოვალეობა არ ჩაებარებიათ. ქუთაისის საქალაქო საბჭოთა საკრებულომ არ დაამტკიცა ეს გადაწყვეტილება. საბჭომ მიანდო საკრებულოს გადაწყვეტილების განსაჩივრება ამ საქმეში თავის თანამაზრე წევრს. მარა განსაჩივრება არ მოხდა—რა და ამგვართ საკრებულოს გადაწყვეტილება ძალაში დარჩა. დარჩა ძალაში, მარა ამას მაინც არ აქცევენ ყურადღებას და საქმე იმგვართ მიდის, როგორც საბჭომ გადასწყვიტაო.

შემდეგ საბჭომ განიხილა ამ კრებისათვის დანიშნული საქმეები. უფრო საყურადღებოს მათგანს ჩვენ გავაცნობთ მკითხველებს. ქალაქის თავმა საბჭოს მოახსენა გუბერნატორის წინადადება სულით ავთმყოფთა შესახებ. გუბერნატორს წინადადება მიუცია ქალაქისათვის, რომ მან სულით ავთმყოფთათვის იქონიოს თავ-შესაფარი. ქალაქის თავმა თქვა, რომ ჩვენ მოგვდის პოლიცმენისტრისაგან სულით ავთმყოფნი და ალაგი-კი არა გვაქვსო. პირადად მე ვთხოვე გუბერნატორს, რომ დაეთმოთ ადგილი აქაურ სულით ავთმყოფთათვის ან ქუთაისის საავთმყოფოში, ან თფილისისაში, მარა მიპასუხა, რომ ადგილი არ არისო. გვიშენდება ახალი საავთმყოფო, სადაც ოთხ-ხუთ სულით ავთმყოფთათვის იქნება კიდევ დავიერჩეს ადგილი, მხოლოდ მეტისთვის არ გვექნება და არც შეგვიძლია გავაკეთოთო. ამ აზრს ეთანხმებ? საბჭოც. ბ-ნმა გ. ელიავამ შენიშნა, რომ უფრო გულ-მოდგინეთ მიაქციონ ყურადღება იმ ავთმყოფებს, რომლებიც, პირველათ თუმცა გადარეულებს წააგვანან, მარა სულ სხვა ავთმყოფობით არიან ავთდა ამგვარ ავთმყოფებს უარს ნუ ეტყვიან საავთმყოფოში მიღებაზე. მაგალითად, ყვავილით ავთმყოფი შეიძლება შფოთავდეს, მარა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის სულით ავთმყოფია და მისი მიღება არ შეიძლებოდეს საავთმყოფოშიო. ამაზე ბ-ნი ვოლსკი უპასუხებს, რომ ამგვარ ავთმყოფებისათვის მიღებაზე უარი არასოდეს არ უთქვამთო. ელიავას მოჰყავს მომხდარი შემთხვევის მაგალითი, საიდგანაც სჩანს, რომ საავთმყოფოში მიუყვანიათ „ВОДОРОЯВНЬ“-ით ავთმყოფი, რომელიც არ ძიუღიათ—„გადარეული ხარო“ და რომელიც იმ დღესვე გარდაცვლილა. ხმოსანმა ითხოვა, რომ ამგვარი შემთხვევა ნუ განმეორდება შემდეგშიო. ტრანდაფილიდისი (ქალაქის საავთმყოფოს გამგე ექიმი) ამბობს, რომ ის ავთმყოფი უადგილობის გამო ვერ მივიღეთო.

ერთ წინანდელ თავის სხდომაზე საბჭომ აირჩია კომისია, რომელსაც მიანდო ქალაქის ბალის და ბულვარის რევიზია. ამ კომისიის თავმჯდომარემ ბ-ნმა კ. ჩხეიძემ



წაკითხა კომისიის მოხსენება, რომლიდანაც გავიგეთ, რომ ბულვარის და ბაღის საქმეები მეტის-მეტ აწეწილ მდგომარეობაში ყოფილა. ბაღს ჰკლებია გამგეობის მიერ საჭირო თვალ-ყურის გდება. არ ქონდათ რიგზე შემდგარი ბაღის ინვენტარისა და შესავალ-გასავალის წიგნები ასე, რომ იმ წიგნებიდან არაფერი არ გაიგება. მეზღვე რამდენ ნაგლეჯ ქალაქსაც გაატანდა მუშებს თვითმართველობაში წარწერით „Выдать ему столько-то“, — „Выдать“—თავის მხრივ წააწერენ იქ და „выдавали“. ასე და ამ რიგად, შეუმოწმებლათ! ამას გარდა მოხსენებიდვან ბევრი ისეთი საქმეები გავიგეთ, რაც, თუ მართალია, ერთ-ორ პირს ზნეობის მხრივ სასიკეთოს არაფერს უქადის. ერთმა ხმოსანმა ამ საქმეს „პატარა პანამის საქმეც“-კი უწოდა. ქალაქის თავმა და გამგეობის წევრმა ივანოვმა თქვა, პირველმა—რაც ბრალდებულება გამგეობას შეეხება, იმის გასამართლებელ საბუთებს მე წარმოვადგენო, მეორემ—რაც კერძოთ მე შემეხება—მეო. დავუცადლოთ.

ცხარე კამათი გამოიწვია ვგრედ წოდებულ „უსახელო ქუჩის“ საქმემ. ეს საქმე მართლა რომ „საქმეა“. საბჭოს ერთ წინანდელ სხდომაზე გამგეობამ წარმოადგინა გეგმა ამ ქუჩის შეკეთება-შესწორებისა. საბჭოს მიუღია ეს გეგმა. შემდეგ აღმოჩნდა, რომ ამ ქუჩაზე სახლები აუშენებიათ და ამ სახლებში ქუჩის ნაწილი მოუწყვედვიათ. ქუჩის მცხოვრებლებმა აუწყეს საბჭოს, რომ საქმე ამგვარათაა და ქუჩის გეგმა მიტომ დაგამტკიცებოდა, რომ ეს საქმე ჩაემატებიათო. ამგვართვე შეატყობინეს გუბერნატორს, რომელმაც საბჭოს გადაწყვეტილება ქუჩის გეგმის შესახებ არ დაამტკიცა და შეეკითხა საბჭოს—რაშია საქმეო. მის მერე იწყება ამ ქუჩის შესახებ დაუბოლოვებელი ისტორია. აღმოჩნდა, რომ გამგეობას კიდევ ეჩივლა იმ პირებისათვის, რომლებმაც სახლები ქუჩას დაასკუბეს თავზე. მომრიგებელ მოსამართლეს გადაუწყვეტია ამ სახლების აღება. სახლების პატრონებს განუხარხარებიათ ეს გადაწყვეტილება და თავის მხრივ ქუჩის მცხოვრებლებს მიუხდვიათ ვეჭილობა ერთი პირისადმი, რომ მას დაეცვა ამ მცხოვრებლების ინტერესები. ქუთაისის ოლქის სასამართლოს დაუმტკიცებია მომრიგებელ მოსამართლის განჩინება. პალატასაც. იმ ქუჩაზე მცხოვრებლებს წარუდგენიათ პოლიციისათვის „აღმასრულებელი ფურცელი“ და რადგან სახლის პატრონები თავის ხარჯით არ კისრულობენ სახლების აფუნგვას და ამას მართლა ხარჯი უნდა, პოლიციას ეს „ფურცელი“ ვადმოუცია გამგეობისათვის. ქალაქის თავმა მოახსენა ეს და საბჭოს წინადადება მისცა დამტკიცებია მას ქუჩის ახალი გეგმა, რომლითაც სახლები ისევ იქა რჩებიან, თავის ადგილზე, ქუჩის გულში ჩაკვრით. ხმოსანმა დუმბაძემ თქვა ამის შესახებ, რომ ჩვენ რომ ეს ახალი გეგმა მივიღოთ, ის მესამე დანტერესებულნი პირნი, იმ ქუჩის მცხოვრებნი, არ მოითხოვენ სამი ინსტანციის გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანას? ამ მათ უფლებას აასრულებენ კიდევ იგინო. გრ. ვოლსკი ამბობს, რომ ქუჩას დიდი არაფერი დაკლებია მასზედ იმ სახლების აშენებითო და ამას ამტკიცებს კიდევ. სხვა ზოგიერთი ხმოსნები სულ სხვა აზრისარიან და ამტკიცებენ, რომ ბევრი რამ დააკლდა, სახელდობრ, ორი არშინო და უსაყვედურებენ გამგეობას, რატომ დროზე არ მიაქციეთ ყურადღება და

რატომ ააშენებით იმ გვარად სახლი, როცა ქუჩის გეგმა გყავთ, აგენტებიც, პოლიციაც დაგენმარებოდნენ და ხალხთ, უკანონოთ ვერავინ წაგართმევდათ ქუჩის ნაწილსო. ხმოსანი ი. საბახტარაშვილი ამბობს, რომ ბ-ნ ვოლსკის ახლა-კი სურს, რომ ეს ახალი გეგმა მივიღოთ და ამით ის სახლები თავის ალაგას დარჩეს; სასამართლოში-კი იმას ამტკიცებდა, რომ ის სახლები იქ უკანონოთ არის აშენებული და უნდა აიღონო. ამაზე ვოლსკი უბასუხებს, რომ მე სასამართლოში ჩვენ უფლებზე ვლაპარაკობდი, რომ ჩვენ უფლება გვაქვს, თუ ეს გვსურს, ავაშლინოთ იქ სახლებიო. ხმოსანი ნ. დუმბაძე ეკითხება ბ-ნ ვოლსკის: თქვენი ნება-რთვით არ აშენებულა ის სახლები? გრ. ვოლსკი: არა. არაო ამბობთ, მარა მე მანახვეს იმ სახლის პატრონებმა თქვენ მიერ ხელ-მოწერილი ქალაქი, რომლითაც თქვენ მათ ნებას აძლევთ ააშენონ სახლიო. ვოლსკი ამბობს, რომ ეს ქალაქი მაშინ მივეცი, როცა სახლი თითქმის უკვე აშენებული იყო. ი. საბახტარაშვილი ამბობს, რომ ეს ქალაქი მაშინ მივეცათ სახლის პატრონებს, როცა საძირკველი ჩაყარესო. ერთი სიტყვით, აქ რალაც ისეთი ალიაქოთია, რომ ჩვენ თუ ამას ბოლომდე გავყვით, იმდენი დაწერილი ქალაქი მოგვიგროვდება, რამდენთიც „უსახელო ქუჩის საქმეზედ“ მოგროვებულა, და ეს „გროვა“, როგორც უჩვენა ქალაქის თავმა ხმოსნებს, „ქილილა და დამანის“ ოდენი მაინც იქნება. „ქუჩის საქმე“ ვადაიდო ხმოსანთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო.

X.

პატარა წიგნილი.

სულ რამდენიმე წელია მს აქეთ, რაც ვადაიცვალა იმე რეთის უკანათლებულესი თავადი ალექსანდრე ბაკრატაშვილი. უველას კარგათ ავანდება ის დეე, რაცა მისი ნაშთი საუკუნოდ გამოსაღმუთ ცივ სამარეს მიაბარეს, რამაც ბევრი დაამწუხრა და დასმა. მხალედ ამ შწუხარესთან ერთად ხალხი ასე, თუ ისე, ნუგეშტემულ იქმნა ერთი ვარემოთი: რათა სახელი ალექსანდრესი კვალად ზეტავით სასწენებლად დარჩენიდათ, განსვენებულმა გ. ე. წერეთელმა იქ დასწრე ხალხს მიამართა ფრად საკმნობელი სიტუებით, რომელიც მოკლედ მოგვყავს: დეეს ბევრია ჩვენს ხალხში ზეპირ-ვადაცემითი ამბები ჩვენ დაიდებული წინაპრების, რომელთაც უნდა შეეკრება და ვამცემს. რამ უფრო ვამტკიცდეს საქართველოს ერის მამავალი ცნოვრება და სახელი ალექსანდრე ბატონიშვილის დაიდებული წინაპრების, უნდა შეგროვდეს საერო თავნი... უველამ ჩვენ განმა უნდა შეგწირათ წელიადი ამ საქმეს; თვათოველმა ქართველმა, ქალმა და კაცმა, დიდმა და ზატარამ, თათო აბაზიც რამ ვამადალს ამ საერო თავნისთვის, დიდი ფული შესდგება; მოდით, დავარქვათ ამ თავნს ბატონიშვილის ალექსანდრეს სახელი და იმის ქვაკუთხედად ვავხდათ იმისივე ფაზნის მიერ შეწირული წელიადი... და სხ. ეს მხნდა თებერვლის 23-ს რიცხვს 1895 წლის, რასაც ხალხი, დიდითაზატარამდინ უზომო ადტაცებით მიეკება!.. მს აქეთ ვანვლო თათქმის ერთმა წელმა და საქმის დაწეების-კი არა ისმოდა-რა... მაგრამ ამ დროს, 1896 წლის „კვალის“ 32 №-ში ვკითხულობთ შემდეგს: „შეგონიერი და სსსამოვნო, სიმშატოური აზრის განხორციელება დროთა ვითარების გამო დღემდის არ ყოფილა შესრულებული; და დღეიდან, ვკისრულობ რა ამ დაუვიწყარ ვალს, რამ უველამ ჩვენთან განმა შეუწყოს ხელი ამ სსსიქადულო და სსშვილიშვილო





საქმეს, ვინაშნავ თანამშრომლებთან ამ სიმბოლოური აზრის განხორციელებისათვის ზინადთ მე შემდეგ ზიარებს: 1) უფროდის ადმინისტრაციულ განყოფილებაში თავადს ს. ზ. აბაშიძეს. 2) ხარკოვლის განყოფილებაში — ი. დ. ავლიშვილს და დ. გ. კიკნაძეს; 3) ჭიათურის განყოფილებაში — ს. ნ. აბდუშელიშვილს, და კ. ი. აბაშიძეს; 4) საჩხერის განყოფილებაში თავადს ფ. გ. წერეთელს, ა. ი. აბაშიძეს, და ი. თ. გამყრელიძეს. 5) ჩხარის განყოფილებაში თავადს ნ. კ. ხიდირბეგიშვილს, ლ. ნ. იშხელს და ი. ი. მდივანს... სრული იმედი მაქვს, რომ ზესტივტემულნი შეითხველნი გასეთი „კვალის“ ეფექტსავე გვარ შემწეობას აღმომჩინებენ ამ კეთილ განზრახულ საქმეში და არ დაიშურებენ შეძლებისდაგვარად წვლილის შემოწირვას...

აღმასრულებელი შერანის უფლის თავად-ახსნურთა წინამძღოლის თანამდებობის თავადი მიხეილ ზურაბისძე აბაშიძე.

ამ რიგად აღნიშნული ფრად სიმბოლოური საქმის შესრულება იკისრა შერანის მხრის თავად-ახსნურთა წინამძღოლმა თავად მიხეილ ზურაბისძე აბაშიძემ — მის მიერ ამოტყუებულ ზინთა თანამშრომლებით, და, როგორც ვიცით, კიდევაც იწყო ფულის შეგროვება შერანის მხრის ყოველ კუთხეში. თვით უკანათელ-ბუფელსა გენის იდიტრამ აღუთქვა ამ ფონდს ათასი მანეთი, რომელიც უნდა დადებოდა სარჩულად მთელ თანხს... მაგრამ, არ ვიცით — რა მიზეზია, ამ საქმეს ბოლო არ უჩანს. არავინ უწის, თუ რამდენი ფული შეაგროვეს იმ ზესტივტემულ ზინთა დღეს ბანი მიხეილ ზურაბისძე აბაშიძე წინამძღოლად არ ბრძანდება და მის მიერ დაწესებული საქმე-კი სრულად მიუხრდა. ჩემის ფიქრით, კარგს იხებებს, ყოველსავე ახარაში აცნობდეს საზოგადოებას... დიდათ სასურველია, ეს საქმე არ წახდეს, რის ჩაფუშვასაც შეუძლია გაუტყონ გული საზოგადოებას, ხელთ სახელი იმ ზინთ, რომელიც საზოგადო საქმეს ეწვევას...

გ. ბოკერია.

**რუსეთის მხმობა.**

მომავალ სამოსწავლო წლიდან სატელეგრაფო შეკლების ზრდაგრამა გაცილებით გადიდებული იქნება.

◆ საქციზო გადასახადი 1901 წელს რუსეთში ასეა განაწილებული: სასიქელები — 325 მილიონი მან.; თამბაქო — 41 მილ. მან.; შაქარი — 62 მილ. მან.; ხაფითი — 26 მილ. მან. და სხივკა — 7 მილ. მან.

◆ როსტოვში (დონის) აზიარბენ ამ მოკლე ხანში გასსნან საავათმყოფო ქარხნის და ფაბრიკის მუშებისათვის ზოგიერთა ადგილობრივ მეფაბრიკათა ხარჯით.

◆ ვარშავის ჭიკიერური საზოგადოება ჭკრეულა შემოწირულებას, რომ გაუმართან ჭლექიანებისთვის სახატორის (სავათმყოფოს მაგვარი); რადგანაც ამ საქმისთვის შეიკრება უკვე 65,000 მანეთი, ჭიკიერურ საზოგადოების რჩევამ დაადგინა, რომ შეუდგენ სახატორის აშენებისთვის საჭირო მუშაობას. ცალკე კომისიაც აირჩიეს და გამგებაც მომავალ სახატორისას.

◆ საერო განათლების მინისტრმა ნება დართო ტიუმენის ალექსანდრეს რეალურს სასწავლებელს მიიღოს საკუთრებათ მოსკოველ ვაჭარს ნ. ჩუკაშვილისაგან შემოწირული საშენიერო კლექციები ახრელოგიისა, ზოლოგიისა, ბოტანიკისა, მინერალოგიისა და ზალოტლოგიისა, და სასწავლებელთან გასსნან მუხეუმი ამ კლექციებისაგან და ხელსაც ნება ჭქონდეს დაათვალიეროს ხელმე იგი უქმე დღეობით. ჩუკაშვილის შემოწირული კლექციები დაახლოებით დირს ათი ათას მანეთამდე. ეს

შეწირულება ჩუკაშვილისაგან ზინველი არ არის, ამავე სასწავლებელმა წინათც მიიღო მისგან სასწავლო ნივთები და ბიბლიოთეკისთვის წიგნები 5 ათას მანეთისა, — ამ წიგნებ შერის მოაწვება ძლიან იშვიათი მწიგნობრების ნაშთებიც, ამას გარდა ჩუკაშვილმა დანიშნა სასწავლებელთან 300 მანეთიანი ჭილოლო, რომელიც მიეცემა კარგს თხზულებას ქ. ტიუმენის ახ ტიუმენის ოლქის შესახებ. აგრეთვე 20 წლის განმავლობაში შეელოდა ამავე სასწავლებლის მოწაფეებს.

◆ წარსულ წლის ბოლოში გამოქვეყნდა ახალი დებულება სატერბო გადასახადისა, აგრეთვე ინსტრუქცია იმის შესახებ, თუ როგორ მოიყვანონ სისრულეში ეს დებულება. ამ ახალ დებულების ძლით, სადერბო გადასახადი ვრცელდება მრავალ ახალ აქტებსზე და დოკუმენტებსზე, ასე რომ ამის იქით, შეიძლება ვსთქვათ, თითქმის ყველა შემთხვევაში მოქალაქობრივი ცხოვრების, სადაც საჭიროა წერილობითი მოხსენება ან მოწმობა, სადერბო გადასახადი უნდა იხადოს კაცმა. ამ რეფორმის წყალობით 1901 წელს სახელმწიფო შემოსავალს მარტო სადერბო გადასახადით ემატება 3 მილიონ ხსხეგარი მანეთი. მაგალ.; — სხვა-და-სხვა ხელ-შეკრულება, გამოწერილი ქადაღები ან კაბიები, მოწმობები, ბილეთები ტყის გასახესთ და სხვა-და-სხვა... რადგანაც ყველა ამნარი ქადაღებისათვის 15 კ. მარკები საჭიროა, გლეხი კაცი-კი მუდამ ქადაქში ვერ იბრებს, ან შინ ვერ იქნობს, ამიტომ საბრძანებია საჭირო მარკები იქნობს სოფლის მართველობამ და მით ხელი შეუწოს ახალ დებულების გაგრცლებას.

**ს ა მ ლ ვ ა რ გ ა რ ე თ.**

**საზრახვათი.** საფრანგეთის და მსთან მთელი ევროპის უურადლება კონგრეგაციების განხორციელება მიიზერო. ეს ერთი ხანია ბერების კითხვამ ააღაზარა ზარდამენტის დებუტატები და გასეთები. ამბობენ, კაი ხანია ასეთი დიდი და საურადლება დებუტები არ ყოფილა საფრანგეთის ზარდამენტშიო. უკანასკნელ ორატორთა შერის საურადლება ბერების მომხრე დე-მიურნი და მოწინააღმდეგე თვით მინისტრ-ბრეზიდენტები — ვაღდეკარუსსო.

დე-მიურნი: „მთელი თქვენი ზოლოტიკური იდელოა, — მიმართო სოციალისტებს — კერძო საკუთრების საზოგადო საკუთრებათ გადაქცევა. ხვალ, როცა მთავრობის სათავეში იქნებით, თუ არ იქნებით, მოითხოვთ საკუთრების მოშლას და აი, ამისთვის თქვენ ყველაზე უფრო მაღლა ყვირით მონასტრების საკუთრების წინააღმდეგ. და როცა თქვენ ამ საკუთრებას წაიღებთ, რაში მოიხმართ? რაში და მოხუც მუშათათვის დამხმარე კასის დაარსებაში, ე. ი. ერთი საზოგადოებრივ მეორეში გადაიტანთ. მაგრამ თქვენ, ბ. მინისტრ-ბრეზიდენტო, — მიუბრუნდა ვაღდეკარუსს, — არა გაქვთ უფლება ამნარათ შეხედოთ ამ საქმეს. თქვენ ეუბნებით ხალხს: „შენ გინდა მოხუცების დროს დამხმარე კასა, მაგრამ აქამდის ვერ დაგინარსეთ, რადგანაც ფული არა გვაქვს; სა-მაკუროთ ჩვენ ვიცით, სად არის ფული, სად არის მილიარდები: ეს არის აი იქ, მონასტრებში, ბერების ხელში, წავართვათ მათ და მოვიხმაროთ!“ ასე ეუბნებით ხალხს და, ერთი მითხართ, ამაზე უფრო მეტად ადლებება ხალხის კიდევ შეიძლება? თქვენ თვითონ თქვით, ბ. ბრეზიდენტო, ტულუზში, რომ მონასტრები ინახვენ საავადმყოფოთ, სკოლებს, ობოლთა თავ-შესაფარს და სხ. და მერე განა თვითველ ამთავანს რამე შემოაქვს? განა ესენი ფულის წყაროა? განა არ იცით, რომ მონასტრითა შენობები ვაღებით დატვირთულია? სად არის ის თქვენ მიერ ხაზვნები მილიარდი!.. ამნარი დევნა მონასტრებისა ახ-



ლი არ არის. ჯერ კიდევ ახი წლის წინათ, 1790 წ., მონასტრები დასბეზდეს; ამობდენ, ბერები ფანატოზში უნერგვენ გულში საზღვარდობას და ამით მას სულს უწამლავენ. და ქალბატონი როლანდი კიდევაც სწერდა: „გუდიეთ ეკლესიის ქონება! ვერასოდეს ვერ განთავისუფლდებით მხეცებისაგან, სხნამ მათ ბუნაგს არ მიანგრ-მონგრევთ!“ ამასვე ამბობს ახლა მონისტრ-ბერებიც! მართალია, მათი ძალათ დამტოვიეს და გადასწვეს მონასტრები, ძალათ გაუიღეს ბერების ქონება და ბერები შარახე გამოყარეს, ახლა თქვენ ამას არ იხსნით, ახლა ძალას აღარ იხმართ, მაგრამ ახრი-კი მაინც მაშინდელი გაქვთ. თქვენ გსურთ მონასტრებს ქონება ჩამოართვათ კანონის ძალით და ამით გააუქმეთ მონასტრები!“ და სხ.

ამის საპასუხოდ ვაღდეკ-რუსომ თქვა: „იმ კანონ-პროექტს, რომელიც მე აქ წარმოვადგინე და ვიცავ, შემთხვევითი კანონ-პროექტი უწოდეს. ეს არ არის მართალი. ასეთივე პროექტი წარმოვადგინე ჯერ კიდევ 1882 წ. გამეტას სამინისტროს სახელით და 1883 წ. ფერიას სამინისტროს სახელით. მაშინ ჩემ ამხანაგებთან ითვლებოდენ არა მილიერანი, არამედ შამელ-ფეკური და მელინი. 1882 წ. პროექტის დასაცვლათ ვთქვი: ჩვენი კანონმდებლობა კრძალავს ყოველხანარ უარის-ყოფას ზირფუნების უფლებებისა და ამ უფლების მხმარებისა, სახელდობრ, ცოლ-ქმრობის უარის-ყოფას, ეიდვის, გაუიღვის, ვაჭრობის და სხ. ერთი სიტყვით, კრძალავს ყოველივე იმას, რაც ადამიანს ამხნებს და ასუსტებს. და აი, ყველა ამას ჩადის ბერების საზოგადოება, კონგრეგაციები. ეს ისეთი საზოგადოება-კი არ არის, რომელიც ავითარებს ადამიანს, არამედ ისეთი, რომელიც ავიწროებს და მიწასთან ასწორებს. ყოველი კონგრეგაცია იღებს საშინ მტნებს: სიღარიბეს, უბიწოებას და მორჩილებას. ზირველით ის შირდება საზოგადო ინტერესებს, რაცა მდგომარეობს იმაში, რომ ყოველი კაცი თავის ქვეყნისათვის მუშაობს და სიმდიდრეს ქქმნის. მეორით ის უარყოფს ღვასს, ღვასხისათვის ცხოვრებას და მოღვაწეობას. მესამით-კი ის უარყოფს საზოგადო ადამიანის ზირფუნებას და მის უფლებებს. და ახლა მითხართ, თუ-კი ადამიანს ყოველივე იმას წართმევს, რაც ადამიანურია, რაღა რჩება მისგან, რათ უნდა განდეს ადამიანი?“ აი ეს ვთქვი 1883 წ. და ამასვე ვიმეორებ დღესაც. თქვენ ვინ-დათ, — მიუბრუნდა შემარჯუნეთ, — კონგრეგაციები თავისუფლათ, კანონის ნება-დაურთველათ ცხოვრობდენ. თქვენ ამბობთ, რაღა საჭიროა ახალი კანონი, საკმარისია ისიც, რაც არისო. მაგრამ გავიწყდებათ ის, რომ ნება-დაურთველ კონგრეგაციების რიცხვი კლებულობს და ნება-დაურთველი მატულობს. აი ციფრები: 1877 წ. იყო 113,750 ბერი, მთავრობისაგან ცნობილი, და 14,000 ისეთი, რომლის არსებობა მთავრობისთვის არ განუცხადებიათ. 1900 წ. ზირველთა რიცხვი ჩამოვიდა 54,409-ზე, ხოლო ბერეთა აიწია 75,000-ზე. ცხადია, ნება-დაურთველი კონგრეგაციები მრავლდებიან, არავითარ კანტროლს ქვეშ არ არიან და რაც უნდათ, იმას სჩადიან. მე თქვენ გკითხვით, რომელი მთავრობა მოითმენს ამას?

„ბერებმა აქ ბუერი დამცველი იშოვეს; ამით განაცხადეს, თუ რა დიდი ღვაწლი მიუძღვის მონასტრებს მეცნიერების, მწერლობის და ხელფუნების წინაშე. შეიძლებადა ამ დირსებასთან ბუერი ნაკლუეკვანებაც მიგვემატებია, მაგრამ ამას აღარ ვიქმ, მხოლოდ ვიტყვი, რომ ყველა ეს იყო ერთ დროს, ძველად, და განა აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ დღეს მონასტრებს ნება მივცეთ თანამედროვე საერო წესები უარყონ და ფუნ-ქვეშ გათედონ! მონასტრებს მიწვერეს ქველ-მექმედება, ისინი ასწავლიან ბავშვებს, არჩენენ ავთიმოფთ და სხ.

გავმინჯოთ ციფრებით; 54,000 ნება დართული ბუერი უკლესი 57,000 სულს, ხოლო 75,000 ნება დაურთველ მხოლოდ 25,000-ს! ცხადია, ნება-დაურთველი გაცილებით ნაკლები ქველ-მექმედნი არიან. მონასტრ-ქალთა თავ-განწირულებას და შებრალებას არავინ არ ჰყოფს უარს, მაგრამ უკეთესი არ იქნებოდა ეს ხინბუელი თვისებები თავის ღვასში და საზოგადოებაში გამოქინხათ, სადაც დედას, ქალიშვილს და დას არა თუ ერთი მონხუცი ყოველთვის მოსაყელი ვაჟს, არამედ ავთიმოფთი ბავშვებიც მათ ამართ არიან? განა ამასვე უკეთესი სარბიელი თავის განწირვის და შებრალებისათვის კიდევ შეიძლება!

„წინათ, დიდ რეფორმაციამდის, მართალია, ბერები აშკარათ ბატონობდენ, მაგრამ მაშინ ეს ისე საშიში არ იყო, რა გორც ახლა არის. მათი რიცხვი 60,000-დან 190,000-მდე ავიდა. ისინი საჭიროებენ თხზობიანს და ბრძოლას, რომ გამრავლდენ და გაძლიერდენ. და აი, ამის მიხეზი მისცა რეფორმაციამ. რეფორმაციამ მიანგრ-მონგრეა მათი სარბანბული და ამით დიდათ ააღუფა ისინი. მის შერე ემზადებიათ სამაგიეროს გადასახლეათ. მაგრამ სიციყა იმავე ფიქრი, რომ ისინი შესძლებენ დაზერობას იმ ქვეყნისა, რომელიც საუყუნის ბრძოლით და რეფორმაციებით მძიმე უღლისაგან განთავისუფლდა. საზოგადოება თავის თავის წინააღმდეგ ვეღარ წავა. ეს კარგათ იციან ბერებმა და აი, ახალი ზომების შემოღება მოინდომეს. მათთვის საჭირო შეიქმნა საზოგადოების ჭყუა-გონების დახატრობება, ახალი თაობის თავისებურათ აღზრდა, მონხელთა მამხრობა და თანამდებობათა თავისიანებოთა შირის დარბება, სახელმწიფოს ყოველ სეკრში შესვლა და სადაც-კი რაიმე ძალას, იქ თავისი კაცის დაეგნება და ყველა ამითთვის ერთი ბაირადის ხელში მიტემა. და აი ამ ბაირადზე მოქარგულია: Contre-Revolution—რევიოლიუციის წინააღმდეგ!

„ჩვენი მიხანია, საჭირო ზომებით უზრუნველ ვფოთ მშვიდობიანობა და თან-და-თან განვითარება იმ საზოგადოებისა, რომელიც დიდი რეფორმაციიდან წარმოიშვა. აქეთ არის მიმართული ეს კანონ-პროექტი, რასაც მე-30 წლებში ზარლანმენტში ერთი მომხრეც არა უავდა, ხოლო 1880 წ. ერთათ ერთი ხმა დააკლდა...“

ასეთია ეს შესანიშნავი სიტყვა, რაცა ჩვენ აქ შემოკლებით მოვიყვანეთ. ბრისხნის წინადადებით ზარლანმენტმა ხმის უმეტესობით დაადგინა: ეს სიტყვა დაბეჭდოს და საფრანკეთის ყველა სოფლის თუ ქალაქის სამართველთებზე გაიკრას.

პროექტის შესახებ საზოგადო დებულება დასრულდა და დაიწყო თვითყოფელ მუნდის განხილვა.

— ეს ექვსი თვაკ, რაც ზარიში ქუჩების ქვეშ ელექტრონის რკინის გზა გაიყვანეს და აი მოსამსხურეთა შირის უკვე გათეცვა დაიწყო. ეს გზა ქალაქმა კერძო საზოგადოებას მისცა იჯარით და თანაც მუშათა სასარგებლო მუნდები კონტრაქტში შეიტანა. მაგრამ საზოგადოებამ არ შესრულა ეს მუნდები და აი ახლა თვით მუშები თხოულობენ შესრულებას. ისინი ითხოვენ 10% მოკებისას გამოფენის დროს; მოსამსხურეთა წინ წაწვეს თანხმათ წესებისა და არა ზირადი დამოკიდებულებისა და სხვა. რკინის გზის მიმოსვლა შეჩერებულა, სადგურები დაკეტულია.

**ისპანია.** ამ ჟამით ისპანიაში დიდი არეულობაა. მრავალგან ქალაქებში: მადრიდში, გრანადაში, ვალენსიაში და სხ. მანიფესტაციები იმართება. 29 იანვრის დეპუტა იუწვევა, რომ გრანადაში მანიფესტანტები მთელი დღე ქუჩა-ქუჩა დადიოდენ და ძხნიდით: „გუმარჯოს თავისუფლებას! ძირს იეზუიტები!“, მონასტრებს ქვები დაუშინეს. მონასტრიდან ჟინდარმებმა ხალხს





თოფების სრულად დაუწეს. შემდეგ ხალხმა მინისტრებს იერიშის მიტანა სცადა, მაგრამ უნდადრეპისკან გაფანტულ იქნა. ვალენსიაში მანიფესტანტებმა მინისტრის დაწვა დახატეს, მაგრამ აქცე უნდადრეპისკან მათ ხელი შეუშალეს და მათ წინააღმდეგ ჯარით იქნა გამოყვანილი. სპინაო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ მთავრობამ გადაწყვიტა უფასო ღონისძიება იმპერატორს არეულობის დასაცხრობათ.

— მადრიდში 600 სტუდენტმა პრეტენტი გამოაცხადა იმის შესახებ, რომ ასტურის პრინციის ქორწინების გამო ისინი დროებით დათხოვნილ იქნენ. ქორწინებამ მწუხარება გამოიწვია და არა სიხარული.

**სამრბია.** დეპუტამ ამბავი მოიტანა, რომ ვენაში გარდაიცვალა სერბიის მეფეთ ნამეფი მილან I ობრენოვიჩი. მილანი ტახტზე ავიდა 1867 წ. მთავრის ტიტულით, 1882 წ. მეფის ტიტული მიიღო, ხოლო 1889 წ. მან ტახტი დაუთმო თავის მცირე წილს შვილს ალექსანდრეს. ამ ხნის განმავლობაში მას ორჯერ სამეფოთნა ჰქონდა ომი, ხოლო ერთხელ ბელგარასთან. სამეფოთნის ის თავისი სამშობლოს განსათავისუფლებლათ ემუშავდა, მაგრამ არც ერთ ომში მისთვის ბედს არ გაუღიშნა, ხოლო ბელგარასთან ომი მისთვის მეტათ სპარტისთვის გამოდგა. ამ ომის შემდეგ მილანის სახელი ძვირად იყვა ხალხის თვალებში. ამას გარდა, მილანს განსეთქილება ჰქონდა სერბიის სამეფოთნისთან და თავის მეუღლეს ნატალიასაც გაუყარა. ამ უფასო მამს და მის ხელში სახელმწიფოს ფინანსების მდგომარეობის შეკრევამ გამოიწვია მისი ტახტის უარყოფა. მაგრამ მილანი ამის შემდეგც ერეოდა ხელში სახელმწიფო საქმეებში და მხოლოდ 1892 წ. მან საბოლოოდ უარყოფა სამეფო უფლებები, თითქმის სერბიის მოქალაქის უფლებებიც კი, და დასახლდა პარიზში გრაფის ტაკოვის სახელით. მაგრამ მილანის მოსურვარნი ბურჟუა ვერ გამოეყოფილნენ კერძო ცხოვრებით, მან ისევ დაიწყო სერბიაში მისვლა და სახელმწიფო საქმეებში გარევა, რასაც ხშირათ მრავალჯერად არეულობა გამოუწვევია ხელში სერბიის ცხოვრებაში. ვის არ ახსოვს, მაგალ., ის, სულ ახალი ამბავი, სერბიის რადიკალებმა რომ მილანის მოკვლა განიზრახეს და ამით ერთი აურ-საური ასტურის არა მარტო სერბიაში, არამედ მთელ ევროპაშიაც. თუმცა ამ განზრახვის შეხებით მილანს თავზე ვითომ წამებულის გვირგვინი ედებოდა, მაგრამ ამითაც ვეღარ დაიბრუნა მან ხალხის სიყვარული და ბოლოს სრულიათაც მოწვდა ხელიტოკურ ასპარეზს თავის შვილთან წახსებების გამო. ამის შემდეგ ის სამუდამოდ განშორდა სერბიას და დასახლდა ვენაში, სადაც კიდევ გარდაიცვალა.

**ინგლის-ბრანსვალის ომი.** ბურჟუა თავისი ცდილობენ და მართლაც უნაყოფოთ არა რჩება მათი მეტადინებობა. ამ უმათ მათი საქმე კარგათ არის. ბურჟუას ჰქვავთ სამართად გამოსული ჯარი 25,000 კაცი, რომელთაც 8,000 კანის კალნიაში იმყოფება. სამაგიეროთ ინგლისის ჯარი დაუძღურებოდა, რის გამოც ბურჟუამ ამ ბოლო დროს გამარჯვება. სამართი იარაღი და სურსათი ბურჟუას ბურჟუა აქვთ, რადგანც ვეღვა ამას კი არ უადულობენ, ინგლისელებსაც ართმევენ. ინგლისელებს დიდი ზარალი მოუვიდათ ამ ხანებში; ჯარის ერთი ნაწილი გაწვდა, მეორე დაჭრილია, ზოგი ავით არის, ან კიდევ ტყვედ წაუყვანიათ ბურჟუას. გენერალმა დევეტმა მარტო ერთი კვირის განმავლობაში წაართვა მტერს 2,000 ცხენი, 100,000 სული საქონელი და 6,000 კაცი ტყვედ წაიყვანა. უკანასკნელი დეპუტები გაუწვიებენ, რომ ბურჟუას ხშირი შეტაკება აქვთ ინგლისელებთან, ადარსა ჰზოგავენ. 29 იანვარს ბელგარასთან მ-

ტარებელი გადაბრუნეს სურსათით და რკინის გზის მასალით დატვირთული; 24 იანვარს მოხდა ლუი ბატას დიდი შეტაკება გენერალ სმიტ დორიენსთან, რომელმაც ორივე მხრივ ბურჟუა ხალხი გაწვდა. ბურჟუას ერთი გენერალიც მოუკლეს და დიდი ზარალი მისცეს ინგლისელებმა, ხალხიც ძლიან შეაშინა ამბავმა, მაგრამ დევეტი მანც გაუფიცებოთ მუშაობს კანის კალნიაში და ისევ ჩრდილოეთისკენ უნდა წასვლა.

**ჩინეთი.** ჩინეთის საქმე თითქმის დაბოლოებისკენ მიდის, მაგრამ რეგორდაც მძიმეთ-კი მიცდვას, ხან ასე გგონია, აი ახლა-კი ეშველა, ამ რამდენსამე დევეტი გადასწვდება, რაც იქნება; ხან-კი გადავიწვდება იმედი, ვინ იცის, რადის რა იქნება. აი ახლაც ბეკინიდან იტყობინებან დევეტი: „უცხო სახელმწიფოთა ელჩებს იმედი აქვთ, რომ ჩინეთის მთავრობა მიიღებს ნატას, რომელსაც გადასცემენ მას ერთი ან ორი დღის შემდეგ და რომლის შინაარსი უკვე იცან.“ — რადის იქნება ამის შესახებ, რადის გადასწვდება საბოლოოდ ეს კითხვები, მანც ჯერ არ იცან. ამას ვერც ღიხუნხანცი ჰშველის, თუმცა ეს მოხუცი უჩნევს ჩინეთის მთავრობის მოხდინის რეგორმები თანამედროვე მთხრობილებათა მიხედვით. აგრეთვე შეუთავადა მან ჩინეთის სამეფო სახელულობას, რომ, თუ სამეფო სახელულობა არ დასთანხმდება ზოგიერთა დიდებულების დასჯას, მანინ დიდი განსაცდელი მოეღოს თითონ ახლანდელს დინასტიას.

**ცოლი და ქმარი \*)**

მოთხრობა ეგ. ნინოშვილისა.

ამ ოცი-ოცდაათი წლის წინად გურიის ხალხი, გარდა ერთი-ორი თავადისა ან აზნაურისა, სცხოვრობდა ისლით დახურულს ფიცრულა სახლებში, რომელსაც იატაკად ნოტიო მიწა ჰქონდა, ჰერად-კი—ორი-სამი ფიცარი „საცეცხლურს“ ზემოდან; ამ ფიცრებზე დიასახლისი ინახავდა კაკალს, მარილს, შაშხ ხორცს და სხვა რამეებს. რადგან ასეთი დანიშნულება ჰქონდა ამ ფიცრებს, სახელიც განსაკუთრებული მიეცათ მისთვის—„სხვენის“. „სხვენის“, რა თქმა უნდა, უკბოთ შეუძლებელი იყო გასვლა. ამიტომ სახლებში შუა ალაგი ეჭირა კარგა მოზდილს, სიგრძით ორ ალაბს კიბეს, რომელიც აყუდებული იყო შუა იატაკიდან „სხვენის“. მიიხედ-მოიხედავდით კიდევ და სახლის ერთ კუთხეში დანიხავდით კონებად შეკრულს ღომის ჩალას. ჩალა, მეტადრე ზამთარში, კარგი ლოგინი იყო გურულეებისათვის,—ნავახშმევს დაანთებდენ წიფლის შემით კარგს ცეცხლს, გაიშლიდენ ჩალას ცეცხლის პირას, ვისაც ჰქონდა, გადაათარებდენ ზვიდან ქილობებს და ლოგინი მზად იყო. ამგვარ ლოგინებზე ბევრგან საბანსაც-კი ვერ შეხვდებოდით. სტუმარს გურული გულუხვად გაუმასპინდლებოდა ღომით, „ნადირის“ ხორცი, ქათმებით, გოჭით, თუ სტუმარი საპატო იყო, ძროხასაც დაუკლავდა, მასთან საამური ჩხავრის ღვინო ხომ რა, უზომოდ იხარჯებოდა ამ დროს. მაგრამ, როცა ძილის დრო მოაწევდა, მასპინძელი დაგიგებდა ჩალას, მახე ქილობს, თუ ამასთან ერთი პატარა საბანი და ბალიშიც

\*) ვიწყებთ ეგ. ნინოშვილის ამ ახლად ნახული მოთხრობის ბეჭედს. „ცოლი და ქმარი“ საკმაოდ მოზდილი თხზულებაა. დაწერილია კარანდაშით, შავთ და თანაც დაუსრულებელი, მაგრამ ისეთ ალაგას წყდება, რომ მკითხველი ადვილათ წარმოიდგენს მოთხრობის ბოლოს. ვბეჭდავთ სრულიად უცვლელათ. რედ.



იყო, მეტზე ბოდიშსაც არ მოგიხდინა, თუნდა იანვარის ღამეც ყოფილიყო. მეტადრე ცუდი ის იყო, რომ სახლებში არ მოიპოვებოდა კომლის გასასვლელი ადგილი, გარდა იმ ქუჩაქუჩანებისა, რომლებიც აქა-იქ ცუდად აგებულს სახლებს ჰქონდათ. ზაფხულობით იმდენი კიდე არა, მაგრამ ზამთარში, როცა ქალი და ბავშვი მუდამ ცეცხლის პირას იხდნენ, თვალები კომლისაგან ყველას დაკრემლიანებულ-დაწითლებული ჰქონდა, თითქო ეს ხალხი რალაცას აუტირებიაო. ამ უკანასკნელს დროს-კი გურიაში აღარ სჯერდებოდა ზემო აწერილს სახლებს, ვისაც ცოტადენი შეძლება აქვს, აზნაურია თუ გლეხი, ყველა ცდილობს—ერთი ორ-სამ ოთახიანი ფიცრის სახლი მაინც გაიკეთოს და, შეძლების და გვარად, ევროპიულად მორთოს. იქ, სადაც ხუთი ისლით დახურული სახლი დგას, მეექვსე უეჭველად ყავრით დახურული და ევროპიული კარებ-ფანჯრებით კოხტად მოჩანს ხშირი ხეებით დაჩრდილულს ეზოში.

გლეხი ესიკა წაბლაძე და მისი შვილებიც არ ჩამორჩნენ სხვებს და დაიდგეს ოთხ-ოთახიანი კოხტა სახლი, რომელიც საუცხოოდ ჰშვენოდა რუს პირად მდებარე ხეივანიანს პატარა ეზოს.

I.

შაბათი იყო, სამხრობის ჟამი. ესიკა წაბლაძის ეზოში ება აქა-იქ ხეებზე ექვსი შეკაზმული ცხენი, რომლებიც პატრონების ლოდინში ზანტად ფრუტუნებდნენ და ხანდახან ფოლავდნენ მიწას წინა ფეხებით. სახლის ბალკონზე იხდნენ თითონ ესიკაი და ოთხი ყმაწვილი კაცი. ამ ყმაწვილებში ორი ესიკაის ძმისწული იყო, ერთი სიძე და ერთიც ახლო მეზობელი, ჩანგურის დაკვრით და ცეკვა-სიმღერით თავის სოფელში განთქმული ზალიკაი ცვარიშვილი. ესიკაი ასე ორმოცდაათი წლის კაცი იქნებოდა, პატარა ტანის, ხმელ-ხმელი, მოძრავი და სწრაფი მოლაპარაკე. მოხუცება მხოლოდ თმასა და წვერ-ულვაშზე დამჩნეოდა, სხვაფრივ არც წელში მოხრილი იყო და კბილებიც უკლებლად ჰქონდა. ჩერქეზულად შეკერილი თეთრი შალის ჩოხა, ქრელი ახალუხი, სადა ქამარი, ფეხზე წულა და თავზე გურულად დახურული ყაბალახი ძლიერ უხდებოდა მოხუცს. ყმაწვილს კაცებში ორი—ესიკაის სიძე და უფროსი ძმისწული „ჩერქეზულა“ იყო გამოწყობილი, ორი-კი—ისე, როგორც საზოგადოდ იცვამენ გურულები—„ჩაქურად“. ზალიკა ყველაზე ლამაზი ჩანდა მოსირმულს ტანსაცმელში. ზალიკა იყო ოცი თუ ოცდაორი წლის კაცი, საშვალო ტანის, მრგვალს შავგვრემანს პირზე ლამაზად ქონდა ამოხვითქული შავი წვერ-ულვაში; მეტადრე ჰშვენოდა შავი ხუჭუჭი თმა, რომელიც ზალიკას თითქმის მხრებამდე წვდებოდა. ერთ ოთახში, რომელშიაც სტუმრები ფანჯრებიდან თავისუფლად ხედავდნენ ყოველივეს, თინათინ, ესიკაის რძალი, კაზმავედა ესიკაის უფროსს ვაჟს, სამსონას, იქვე რალაცას ამზადებდნენ ესიკაის ცოლი, ანნა და ქალიშვილი ასმათი. იქვე იდგა კიდეც ესიკაის უმცროსი ვაჟი, თექვსმეტი წლის ბიჭი, ლევანტი და აჯავრებდა თავისი მოუსვენარი ხუმრობით ბიცოლა თინათინს. ანნას სახეზე ისე მოხუცობა არ იხატებოდა, როგორც ავადმყოფობა. ის იქნებოდა ასე ორმოცდა ხუთი წლის ქალი, ხშირი თმა ჯერ კიდევ საკმაო შავით ჰქონდა თავზე, კბილებიც უკლებლად და ბროლივით თეთრი, მაგრამ სამაგიეროდ მისი

ლამაზი, ჯერ კიდევ სწორი, ეშხიანი სახე საშინლად ფერმკრთალი იყო, თითქო ადამიანი სისხლისაგან დაკლილაო. მოძრაობის დროს წარბების უცბად დაქმუნაზე შეატყობდი, რომ სხეული მეტად დასუსტებული ჰქონდა. ასმათი დედას მოგაგონებდა თავის სახით, მაგრამ ცხადად-კი ეტყობოდა, რომ ის არ იყო ისეთი ლამაზი, როგორც თავის დროს დედა მისი იქნებოდა. ასმათი იყო მაღალი ხმელი ტანის, ხმელი, შავგვრემანი პირისახით. მართალია, მისი პირისახე არ იყო ეშხს მოკლებული, მაგრამ მისი ეშხი მოგაგონებდა მამაკაცის ეშხს, მინამ ქალისას. ამასთან, როცა კარგად დაუკვირდებოდი, გულში გაგივლიდა ეჭვი—ეს ადამიანი არ უნდა იყოს ჯანსაღიო.

თინათინ, რომელიც ისე გულ და გულ შესდგომოდა სამსონას მოკაზმვას, უმცროსი რძალი იყო ესიკაის. როცა ესიკაის ძმამ შეირთო, თინათინ ორმოცი წლის ქალი იქნებოდა. ამბობდნენ, რომ თინათინ მეტის-მეტე „მეწუნია“ იყო საქმროების შესახებ და იმან დაავიანა მისი გათხოვებაო. საშვალოზე ცოტათი პატარა ტანის, ცქრილა თინათინ, სახით-კი სრულიად დამქნარი იყო, როცა ქმარმა შეირთო. იმის პატარა, თითქმის ოთხ-კუთხად მოყვანილი პირისახე, რომლიდანაც ცივად გამოიყურებოდა მრგვალ-მრგვალი პატარა შავი თვალები, ეტყობოდა თავის დროზედაც არ ყოფილიყო ვარდივით გამლილი და ეხლა ხომ რა, ძვალ-ტყავად იყო ქცეული. ერთ მხარეზე ორი ზედა კბილი თანისთან აკლდა, მაგრამ თინათინ ამას მოხერხებულად ფარავდა ბავით. თმაც ბევრი აღარ შერჩენოდა თინათინს, მაგრამ რაც ქონდა, ისიც, შეატყობდით, რომ ქალაჩა უნდა იყოს, მხოლოდ წამლით გაუშავებიაო. წაბლაძენისას ყველამ იცოდა, რომ თინათინ ასაკობაზე გადასული იყო, ესიკას ძმამ ის შეირთო მშითვის გულისთვის,—გლეხკაცის ქალის პირობაზე მეტად მდიდარი მშითვი, ჰქონდა თინათინს. თინათინ ძლიერ ფარავდა ქმართან და ქმრის ნათესავებთან თავის წლოვანებას. ხან იტყოდა: „ამან და ამან შემხდა და მითხრა—თინავ, რამ აგაჩქარა გათხოვანზე? ჯერ კბილი თუ ყველაი მეიცვალე, არ გვეგონა და მაშინვე ქმარი მონახეო“. ხან: „მე კაი რეიზა დამემართება, ნენაის ანდერძი შევშალე! ნენამ მითხრა სიკვდილის ხანს: ოც წლამდი ქმარს არ წახვეო“. ტანისა და სახის დაქნობას თინათინ აბრალებდა მავან სულს, რომელმაც ვითომც ერთ-ღამეს მიპქრა კალთა მის საგვირგვინო კაბას. კაბის კალთა ერთ ადგილას მართლაც მიპქრილი დახვდა ერთს დილას, რომ ადგა და დახვდა თინათინმა, მაგრამ გამოცდილებმა მაშინვე შეატყვეს, რომ კალთა მიუჭრია თავს და არა ადამიანსო. ქმრის შერთვის შემდეგ შვილი რომ არ ეყოლა თინათინს, ჯერ მცირე წლოვანობა მოიმიზეზა, შემდეგ-კი, ხანი რომ გავიდა, იმავე მავანს დააბრალა და დადიოდა აქეთ-იქით სოფელში, ზოგთან წამლისთვის და ზოგთან ლოცვისთვის, მაგრამ შვილი მაინც არ ეყოლა.—„რაცხამ ჩემი საგვირგვინო კაბის კალთა წვილო, ჩემი გული და ქალობაც იმას გააყოლა!“—ამბობდა ის.

როგორც მოგახსენეთ, ანნა თინათინის შემდეგ მოყვანილი იყო წაბლაძის ოჯახში და ხნოვანობით უმცროს რძალათ ითვლებოდა. მაგრამ საქმით-კი მიყვანის თანავე დიასახლისობა დაიჩემა და აღარც არავის წინააღმდეგობა გაუწევია მისთვის ამაზე; მიზეზი შემდეგი გარემოება იყო:



ჯერე, რომ ანნას მზითვემა კაი ლაზათი შეიტანა წაბლადის ოჯახში, სადაც ყოველივე საზოგადო ქონებათ ითვლებოდა და შენ-ჩემობა არ იცოდნენ ქონების შესახებ; ამას გარდა ანნა ძლიერ გამოცდილი და საქმის მცოდნე ქალი აღმოჩნდა ოჯახში, ჭირნახულის ანგარიში, ფულის ანგარიში, თვე და რიცხვი, როდის დღესასწაული დგებოდა, როდის მარხვები, მთვარის დღეების რიცხვი და სხვა ამისთანები არც ერთმა არ იცოდა წაბლადის ოჯახში ისე კარგათ, როგორც ანნამ. ყოველივე ამასთან ანნამ ქართული წერა-კითხვაც იცოდა. მართალია, თინათინ ყოველ წაბლადში აგრძობინებდა ქმარსაც და ქმრის ნათესავებსაც, რომ ის, თინათინ, არის რაც არის, თორემ უიმისოთ წაბლადის ოჯახი ჩირათ არ ეღირებოდა. „არ გრცხვენია, ჩემო რძალო, ჩემ ხელა შეილი რომ გყავდეს, შეგეფერება და ივიც-კი აღარ იცი!“ ეტყოდა თინათინ ანნას, როცა ეს უკანასკნელი რამეში უვიცობას გამოიჩინდა. გულ მარტივი და ზნეობით სუფთა ანნა, რომელიც ამ დროს იქნებოდა არა უმეტეს ოცდა ხუთი წლისა, კეთილ გულიდან წარმოშობილ შენიშვნად ღებულლობდა თინათინის სიტყვებს, მაგრამ, როცა მეტის-მეტე მტრისაობას დაინახავდა თინათინის მხრით, პირდაპირი ხასიათის ანნა ვეღარ მოითმენდა და წაეჩხუბებოდა. ანნას გაჯავრება ემსგავსებოდა ქარიშხალს, რომელიც მცირე დროებით გრიალებს, მაგრამ აღრე დაწყნარდება და ბუნებაში ისევ სიმშვიდე მყარდება. ანნა თავის დღეში არ მიუბრუნდებოდა გავლილს საქმეებს. იმ დროს, როცა ანნა გაჯავრებული იყო, თინათინ ტკბებოდა, მაგრამ დავიწყებით-კი არ დაივიწყებდა ანნას გაჯავრებას და პირდაპირ, თუ გადაკვირთ, მთელი თვის განმავლობაში უტარებდა თითო-ორიოდა სიტყვით საყვედურს. არც ქმარსა და მზოს უშვებდა შეუნიშვნელად—„მე თუკი მივხვდი ამას, ამ ბალანამ, თქვენ რამ დაგაყრუათ, ამ ხნის კაცები!“ გადატყორცნიდა თინათინ სიტყვას იმათკენ, როცა რომელიმე საქმე იმის მხარეზე დარჩებოდა. თინათინის გაბატონებას ოჯახში ხელი შეუწყო კიდევ ორმა გარემოებამ: ერთი, რომ, როცა შეილი აღარ ეყოლა, თინათინმა შეილათ დაუწყო ზრდა თავის მზლიშვილს, სამსონას; მეორე რაღაც მიზეზის გამო ესიკაის მეუღლე, ანნა, მეორე ლოგინობის შემდეგ დაავათმყოფდა, თვე არ გავიდოდა ისე, რომ ლოგინად არ ჩავარდნილიყო.

ათი წლის შემდეგ თინათინზე ჯვარის დაწერიდან თინათინის მეუღლე გადაიცვალა. ესიკაი ძლიერ დაამწყურხარა ამ გარემოებამ: ჯერე რომ მხრიდან გამოეცალა შეილსავით გაზდილი ძმა, მერე მისი რძალი გათხოვდებოდა და თან წაიღებდა თავის წილს ქონებას, რაც ძლიერ საგრძობელი იქნებოდა ესიკას ოჯახისათვის. ამასთან კიდევ ოჯახის მომვლელიც აღარავინ დარჩებოდა, რადგანაც ესიკაის მეუღლე ავათმყოფობდა. ასმათი, ესიკაის ქალიშვილი, კი ჯერ მცირე წლოვანი იყო. მართალია, თინათინ ამ დროს ორმოცდა ათი წლის ქალი იყო, მაგრამ ესიკამ კარგათ იცოდა თუ როგორ უყვარდა თინათინს თავისი წლოვანების დამკირება, ამასთან ფერ-უმარჩილით თხუზნა და მოდური კაბების ჩაცმა. „ამისთანა აღამიანი უქმროთ არ გაჩერდებაო“, ფიქრობდა ესიკაი. მართლაც ერთ წელიწადს იგლოვა თინათინმა თავისი ქმარი, შემდეგ-კი გამოეწყო პატარძლად და დაიწყო აქეთ-იქით ყურება—ნუ თუ არავინ მითხოვსო. მაგრამ

გამოცდილი თინათინ აღრე დარწმუნდა, რომ, თუ ვინმეს შეაცდენდა, ისევ თინათინის მზითვეი და არა თითონ თინათინი. თინათინის შერთვას აპირებდნ ისეთი კაცები, რომლებიც, რაკი მდიდარ მზითვეს მოიგდებდნ ხელში, შემდეგ იმის მეცადინეობაში იქნებოდნ, როგორმე თინათინ აღრე ჩაძალტებულყო. დიახ, როცა ამებში დარწმუნდა გამოცდილი თინათინი, გადასწყვიტა დარჩენილიყო თავის მზლთან, სადაც ყოველ შემთხვევაში ოჯახის უფროსობა ხელთ ექნებოდა და ამასთან მის პატივცემას თუ მიემატებოდა, თორემ არ მოაკლდებოდა.

— ჩემო მზლო, — უთხრა მან ერთ დღეს ესიკას — შენ კარგათ იცი, რომ მოვიწოდომო, ხვალვე ამომიჩნდება საქმრო. არც ახირებულათ მოვტყუვდები ახლა, მოწიფული ქალი ვარ, მარა ამ ოჯახზე იმდენი ნაკვთავ-ნაწყთავი მაქვს, რომ ძალიან მეზარება აქაურობის მოცილება. სამსონაია და შეილათ მყავს გამოზდილი, სხვაი რომ არ ვთქვა, იმის მოცილება გამიჭირდება. ამიზა გადავწყვიტე ქმარი არ შევიერთო, მარა ზოგიერთ ალაგაი რომ ქვრივებს უბატოთ ექცევიან, ისე რომ მიქნათ, წყალში გადავარდება, სხვაი რაი.

— შენ და შენი ღმერთი, ჩემო რძალო, თუ არ დაყრი ჩემს ბალნებს ობლათ! თუ არ გააოხრებ შენგან აგებულ ოჯახს! დაბძანდი, რავაც ბატონიშვილის ქალს, ისე პატივს გცემთ, შეეხვეწა ესიკაი.

ამ დღიდან მოწყებული ქვრივი თინათინ დარჩა ოჯახში. ის აღარ ფიქრობდა გათხოვებაზე, მხოლოდ ეს კი რომ ჩვეულებრივათ ითხუნებოდა ფერ-უმარულით, იცვავდა მოდნებ კაბებს, იპარავდა თავის წლოვანობიდან წლებს და იღებავდა თმას, ხანდახან-კი მოუვიდოდა გათხოვების ჟინი. ამ დროს ის უმიზეზოთ ეჩხუბებოდა ოჯახში ყველას, კაპასობდა, ეინიანობდა, მაგრამ როგორც ესიკა, ისე მისი მეუღლე და უფროსი ვაჟიც ხმა გაკმედილი იყვენ და ამიტომაც თინათინ აღრე მშვიდდებოდა.

(შემდეგი იქნება)

ს ე ტ რ ფ მ ს.

(გუდლ. აღ—რას)

დეს ბძძელის დრას თვალთ მამკარს განსცდელშია, ან შედრეკე მამინ, ან ჩავარდე სდარდელშია! ან დამანახე ტურთა თვალზე ცრემლი მდინარი, ანც დამენახე დასცურათ იმ წუთს მკუნესარი!

ხამ განსდვს, სტრფოვ, შემამიფიცე: „მეც მიძკერს გული, ტანჯულ მამმისთვის მეც ვაქნები თავ-განწირული; სიმართლის დრამსს მეც გმირუდათ ავაფრიალებ და ბძძელის ველზე ხმალს მეც შედგრათ დავატრიალებ“.

ჭო-და, კვ ფავცი თუ გამდგა ცრუ, თვალთმამქცობა და თუ ბძძელის დრას სულით დეც, ჭქენ დაცობა, ზიხლით და ფურთხით მუისვე ზურგსა შემკავბრუნებ და მტრისკენ მიწვდილ დახვარს შენკენ შემკავბრუნებ.

ს. მოუსვენარი.



# კანკაეზი.

„თავები“ კაკანათში.—აბლაკატური აბრუნდი.—წვერ-  
მოტეხილი „ისარი“.

თავებს რომ ჰკუთვნებოდათ, „პროტესტს“ გამოაცხადებდნენ ფეხების წინააღმდეგ. და განა ამისი საბუთი არ ექნებოდათ! განა მათ მხარს არ დაუჭერდა სამართალი! თორემ აბა რასა ჰგავს, თქვენნიჭირიმე, დაღიხართ უთავოთ და სტირით თავი არ გვაბიაო. შეისმენენ თქვენს ტირილს, გამოგაბამენ „თავსა“ და იმის მაგიერ, რომ დასხდეთ სადმე ჩრდილში და მოსვენებით ყურები აბლარტუნოთ, მოჰყვებით აქეთ-იქით ხეთქებას და მობმული თავი ისევ გინდათ მოიგდებინოთ. აი, მაგალითად, საშინელს სურათს წარმოადგენს ამ ქაშათ იმერეთი. იქ თურმე ორი ვეებერთელა უთავო ტანია გაშლართული ბრძოლის ველზე. ჯერ იყო და ოზურგეთი იმდენი ეხეთქა აქეთ-იქით, რომ უცებ „თავი“ კაკანათში ამოჰყო და დღესაც თურმე შიგა აქვს მოტანებული! ახლა მას გვერდზე წამოსწოლია ქუთაისი და თავისი „თავიც“ შიგ იმ კაკანათში უტკუცია... ოხ, იმერეთო, იმერეთო, „განცვიფრება“ შენი სახელი, „განცვიფრება“! არა ჰგვეხართ კახელებს! იმათ ერთხელ რომ დაადგამენ „თავებს“, დაღიან მშვიდათ, წყნარათ, თუნდ ეს თავი ისეთი მძიმეც იყოს, რომ თელავიცა და სიღნაღიც მათ მმართველთ ქვესქველში ჩააძვრინონ.

იქ ჰო, ვთქვათ, ცხელა, და იქნება კიდევ მოუხდეთ ამისთანა რამ და გაგრილდენ, მაგრამ ამ ჩვენ დიდ თფილისშიაც რომ პაწაწკუნტა თავებმა ასტეხეს ჯახნი-ჯუხნი, ვითომდა ჩვენც ნახირ-ნახირო, აი ეს სწორეთ რომ თვალგასასწორებელი და გასაშტერებელია. აგერ ეს რეერთი ხანია, რაც მადათოვის კუნძულზე დურგალთა ამხანაგობას „შრომას“ კრებები აქვს გამართული. ზოგ კრებას წვერები არ დაესწრო და ამიტომ ვერ შესდგა, ზოგს დაესწრო, მაგრამ „სტატიების“ ძალით უკანონო გამოდგა. ვენაცვალე ამ სტატიებს, ისენი რომ არა გვყავდეს, რაღა გვეშველებოდა, ვილას მოვიხმარებდით უამსა შიგან გაქირვებისას! მერე თუ თქვენ აბლაკატიცა ხართ და კანონის ენა-პირი ხელში გიჭირავთ, ნეტარება თქვენს გულსა, ალიას საითაც გინდათ იქით უხამთ თავს.

და, უყვეს კიდევ. ამხანაგობის „უსტავი“ ამ კრებებზე სულ „აბრუნდ-დაბრუნდ-მიტრიალდ-მოტრიალდით“ ათამაშეს. ყველაზე დიდ ტაშს ამ ცეკვაში თურმე ვინმე ახნაზაროვი უკრავდა. იმან თურმე ისეთი სტატიები გადამოალაგა, ისეთი, რომ შიშისაგან საწყალ დურგლებს დღესაც თმა ყალბზე აქეთ შემდგარი. და განა საშიში არ არის! კაცსა ჰგონია ამხანაგობის წვერი ვარ, რადგანაც უპირველესი საფუძველი ამხანაგობის დაარსებისა არის „შრომა“ და არა ფული, მოღიხარ კრებაზე, რომ გამოარკვიო შენი საქმე და სტატია-კი გეუბნება—რადგანაც შენ სრული საწვერო ფული არა გაქვს შემოტანილი, ნება არა გაქვს ილაპარაკო. და მე-კი, რომელიც არც დურგალი ვარ, არც მხერხავი, რადგანაც სრულიად შემოვიტანე საწვერო ფული, ამიტომ უნდა გიბრძანო, როგორც მინდა, ისე გამუშაო და დივიდენდი-კი მე უნდა ავიღო. აი სტატიური ექსპლოატაცია ამას ჰქვია! აი როგორ ააბრუნეს ამხანაგობის „უსტავი“ და თურმე ეს სულ 21 იანვრის ბრალი ყოფილა, ოცდაერ-

თი იანვრისა, როდესაც ამხანაგობის კრებამ გამგეობის თავმჯდომარეთ ა. ახნაზაროვი აღარ ამოირჩია, და პირით თავისი თავი ჩააგდო განსაცდელში, რადგანაც ამის შემდეგ წამოშალა სტატიები სტატიებზე და ყოველი კრება, რომელიც „ძველის“ გამგეობის გაუქმებას ფიქრობდა „სტატიების“ ძალით, თვითვე უქმდებოდა. ვნახოთ როგორ აბრუნდება ეს სტატიები დღეს მეყვესეულად ამხანაგობის დანიშნულ კრებაზე.

საით აბრუნდებიან ეს სტატიები, მე ეს არ ვიცი, მაგრამ ის-კი ვიცი, რომ თფილისში ხელ-მეორეთ დაბრუნებულია „ცნობის ფურცლის“ მესრე ფლასუ კვირაია თავის „წვერ მოტეხილი ისრით“. დაბრუნებულია თუ არა, მაშინვე „ერთ პატივცემულ ოჯახში“ ამოუყვია თავი და გაუშართავს სასიამოვნო ლაპარაკი „ვირებზე“. ულაპარაკიანათ, ულაპარაკიანათ და ბოლოს სუყველას ერთათ ტირილი დაუწყიათ, რადგანაც უწინდელს დროში უნამუსოს ვირზედ სვამდნენ და ახლანდელს დროში-კი აღარა სვამდნენ. რასაკვირველია, ეს სულ პირუტყვთა მფარველი საზოგადოების ბრალია და „თვით ცნობის ფურცლის“ რედაქციისა უპირველესათ, მაგრამ მაგარიც ის არის, რომ არც ჩვენა ვყოფილვართ უდანაშაულო. თურმე ჩვენს „სახალწლო ნაპერწკლებში“ პირველ იანვარს ერთი დიდი „მეტრიკული“ შეცდომა მოგვესვლია: „ილიას-თვის“ „ილო“ დადგვიძახნია და გადმობრუნებულია ქვეყანა, აღელვებულია ზღვა და ისევ კვირაიას მადლობელნი უნდა ვიყვნეთ, რომ ცეცხლის წვიმაც არ მოვიდა! გადავრჩით განსაცდელს, მაგრამ ეს წვერ მოტეხილი ისარი მაინც გვემუქრება და, თუ დევეტს არ შევატყობინეთ, ჩვენი საქმე წასულია ხელიდამ. სწორს სწორი უნდა დახედეს, თორე

„სად სწიფო და სად „გაშა“;  
სად ბუღბუღი, სად შაშა,  
დმერთო, დმერთო, ამატიე,  
რაც თვალსუს დაურაშა.  
რიგოლეტო.

## 1900 წლის სიწყვე-კამშული მწერლობა.

(დასასრული. იხ. № 2).

წვენს პოეზიას ყოველ დარგში ჰყავს ნიჭიერი წარმომადგენლები, მაგრამ ამასვე ვერ ვიტყვით დრამატული ხელოვნების შესახებ. შესანიშნავი ნიჭის დრამატურგი ქართველებს ჯერ არ გვყოლია, ნამდვილი დრამა და განსაკუთრებით კომედია ჩვენს ხელოვნებას ჯერ ვერ შეუქმნია. როდესაც გადაათვალიერებ ჩვენს კომედიებს, რწმუნდები, რომ ქართველ დრამატურგებს ან ჯერაც ვერ შეუგნიათ, თუ რაში მდგომარეობს კომედიის არსებითი მხარე,—ცალიერ გულ-უბრყვილო ხარხარში, თუ სხვა რამ უფრო სერიოზულში; ან თუ შეუგნიათ, მათ შეგნებას მათი ძალა ვეღარ შესწვდომია. დღევანდელი ჩვენი ცხოვრება და გონებრივი მდგომარეობა გაცილებით უფრო მაღლა დგას, ვიდრე ორმოცდაათ წლებში იყო; მიუხედავად ამისა ჩვენი დრამატული პოეზია ისევ იმ მდგომარეობაშია, როგორშიაც ის მისმა მამათმთავარმა დასტოვა. გიორგი ერისთავს კარგათ ესმოდა კომედიის დანიშნულება და თუ მან ვერ შექმნა ისეთი კომედიები, როგორიც, მაგ., ოსტროვსკიმ რუსეთში, ამის





მიზეზი იყო ჩვენი ცხოვრების სიმარტივე, ავტორის ზე-რელი ნიჭი და საზოგადოების გონებრივი სიბეჭავე. გერისთავი იძულებული იყო, თავისი კომედიებით უმთავრესათ უმანკო ხარხარი აღედრა მაყურებელში; უამისოთ ის ვერ მოიზიდავდა ქართველ საზოგადოებას თეატრში, ვერ შეაყვარებდა მას თეატრს და, მაშასადამე, ვერც აამაღლებდა მას ზნეობრივად, რაც მას თეატრის მიზნათ მიაჩნდა. მიუხედავად ასეთი დამაბრკოლებელი მიზეზებისა, ის ხშირათ უხატავდა საზოგადოებას ჩამაფიქრებელ მოვლენებს მისი საკუთარი ცხოვრებიდან. გიორგი ერისთავი, როგორც დრამატურგი, არა თუ შეეფერებოდა თავისი დროის საზოგადოებას, ის მალა იდგა იმ საზოგადოებაზე. დღევანდელი დრამატურგი უკეთეს პირობებშია ჩაყენებული: საზოგადოებამ უკვე შეიგნო თეატრის დანიშნულება, მარტო ხარხარი მას აღარ აკმაყოფილებს, ის უფრო ფხიზელი გონებით და უფრო მგრძობიარე გულით მიდის ახლა თეატრში, ვიდრე ამ ორმოცდაათის წლის წინათ მიდიოდა, მაგრამ დღევანდელი ქართული პიესები მას ვერ აკმაყოფილებენ; დღევანდელი ქართველი დრამატურგი საზოგადოების მოთხოვნილებას და გონებრივ მდგომარეობას არა თუ წინ ვერ უსწრებს, კვალ და კვალაც ვეღარ მისდევს. ბ-ნი ცაგარლის ახალმა კომედიამ „ცისარტყელამ“ ვერ დაგვირღვია ასეთი შეხედულება. პიესაში ალაგ-ალაგ შეხვდებით კარგ აზრს, მაგრამ ყველა ეს ისე ნაძალადევით არის ჩაკერებული კომედიის, რომ კიდევ გიკვირს: რას უნდა გამოეწვია ავტორის ასეთი სიუხვე? ეს კიდევ არაფერი, — ნაძალადევით არის ჩაკერებული თუ არა, ისიც კარგია, რომ პიესაში საგულისხმო აზრებს შეხვდება მკითხველი; ხოლო სრულებით გაუგებარია, რა მიაჩნია ავტორს თავის კომედიის იმ მთავარ ძარღვით, რომელიც სულს უნდა უდგამდეს კომედიას, რომელიც უნდა შეადგენდეს იმის *raison d'être*-ს. პიესაში ასეთი მთავარი ძარღვი არ არსებობს და ამით აიხსნება მისი ტენიკური სისუსტე: ცალკე მოქმედებებს ერთმანერთში არაფერი არ აკავშირებს, მთელი მესამე მოქმედება სრულებით მეტია და საზოგადოათ პიესა მეტათ გამოურკვეველსა და დაუმთავრებელ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე. როგორც უკვე ვთქვით, დრამატული პოეზიის საგანი ადამიანის სულიერი მდგომარეობის გადმოშლაა; ამიტომ ყოველი პიესის ერთ უმთავრეს პირობას მოქმედება შეადგენს; ადამიანს იმდენათ სიტყვა არ ახასიათებს, როგორც საქმე, — კარგი აზრის წარმოთქმა ბევრს შეუძლია, კარგი საქმის ჩადენა კი — ძალიან ცოტას; გარდა ამისა ადამიანის სული, მისი ზნეობრივი მხარე მხოლოთ მაშინ იშლება ჩვენს წინ სრულათ, როდესაც მათი პატრონი მარტო ენას-კი არ ატრიალებს, მოქმედებს კიდევ.

„ცისარტყელაში“ კი თითქმის არავითარი მოქმედება არ არის და ამიტომ მომქმედი პირობი ისე მკრთალათ არიან დახასიათებული, გარდა დარიასი და დათიკოსი, რომ ისინი მხოლოთ ლანდს წააგავან ცოცხალი ადამიანისას. თუმცა ავტორი თავად-აზნაურობის დაცემასაც შეეხო, მეურნეობასაც, საშუალო და უმაღლეს განათლებასაც და ბევრს სხვას, მაგრამ ხელოვნების მხრივ მის კომედიის საუკეთესო ალაგია მეორე მოქმედების II, III და IV სანახავე, სადაც დათიკოს ოხუნჯობის მეტი არაფერია. ამ პიესაში ავტორმა პირველათ სცადა

სერიოზული კითხვების გადაწყვეტა, მაგრამ ასეთმა ცდამ ძალიან სუსტი ნაყოფი მოიტანა. რათ დაარქვა ავტორმა თავის კომედიას „ცისარტყელა?“ ამის პასუხს ჩვენ ვტყობილობთ მეორე მოქმედების მესამე სანახავეში: როდესაც ელიკო აცნობს ნიკოს თავის პრინციპებს, ალტაცებული ნიკო უპასუხებს:

**ნიკო.** აგრეც უნდა იყოს! მაინც დიდი ბედნიერი ვარ, რომ ეს მესმის დღევანდელი ქართველი ქალისაგან. ეს მოვლენა ჩვენი ცხოვრების ცისარტყელათ მიმაჩნია!..

ამგვართ, როგორც ნიკო, ისე თვით ავტორიც ელიკოში ხედავენ ისეთ ქართველ ქალს, რომელსაც უნდა ფუქსავატ და უმიზნო ცხოვრებაში აზრი შეიტანოს და მის განსახორციელებლათ იშრომოს; ოჯახს-კი არ დააწვეს მეტ ბარგათ, არამედ ქმარს შემწეობა აღმოუჩინოს ზნეობრივათ და მატერიალურათ და ყველა გაჭირვებულს დაეხმაროს. ასეთია ნამდვილათ ელიკო? არა. ელიკო არის ახალგაზდა ქალი, რომელსაც ეს არის ახლა დაუმთავრებია სწავლა, გამოსულა ცხოვრებაში, მაგრამ ამ ცხოვრების არაფერი არ გაეგება. მას გაუგონია, რომ სოფლათ არიან საბრალო თმა-გაბურძღნული ბავშვები, რომლებმაც წერა-კითხვა არც-კი იციან; ყური მოუკრავს, რომ გლეხობა უეჭიმოთ იხოცება, წაუკითხავს რაღაც ქალთა უფლებების შესახებ და ახლა ის იმეორებს მოუწელებელ აზრებს: ქმარს უნდა დავეხმარო, სოფლათ ვიცხოვრო, ბავშვებს ვასწავლო, ავთმყოფებს მოვუარო და სხვ. მას არა აქვს გამორკვეული მსოფლიო შეხედულება, გამორკვეული იდეალები და მაშასადამე არც ერთხელვე გადაწყვეტილი მიზანი ცხოვრებაში და, კიდევ რომ ჰქონდეს ასეთი მიზანი, მას არა აქვს არავითარი ნება, რომ თავისი მიზანი ოდნავაც განახორციელოს ცხოვრებაში. მას მუდამ შემდეგი ესიზმრებოდა: მან სოფლათ უნდა იცხოვროს, გოგო-ბიჭებს მოუყაროს თავი, ჩაუჯდეს შუაში და ასწავლოს, გლეხები ანუგეშოს, დაარიგოს, ავთმყოფებს მოუაროს, — ე. ი. მისი მიზანია, თავისი თავი სოფელს შესწიროს.

„ეს არის ჩემი ოცნება, რომელიც, უთუოდ უნდა განხორციელდეს, თუ ვიცოცხლე“, გადაქრით გვეუბნება ის. ამავე დროს ის დარწმუნებულია, რომ, თუ მალხაზის მეუღლე გახდა, თავის იდეალებს სრულებით უნდა გამოეთხოვოს და გახდეს უსაქმური, ზარმაცი და კაპწია ქალბატონი. „სხენაირათ მოქცევა იმის სახლში არ შეიძლება“. მეორეს მხრივ ელიკო დარწმუნებულია, რომ მის იდეალს მხოლოთ ნიკო შეეფერება. აქედან თავის თავად ცხადია, რომ ელიკო ნიკოს ირჩევს, და ის ასეც იქცევა, მაგრამ მალე სცვლის თავის გარდაწყვეტილებას და მალხაზს მიყვება. მერე რითი ამართლებს თავის გარდაწყვეტილებას? მით, რომ მას არ უნდა, მსხვერპლი შეიწიროს, ან ქვეყანას უნიჭიერესი მალხაზი გამოაკლოს! არა, ელიკო ჩვეულებრივი ინსტიტუტკაა, რომელსაც სხვისთვის ცხოვრება, სხვისი დახმარება არ შეუძლია. შეიძლება, ის იყოს რიგიანი მეუღლე, ქმარს შეძინოს ექვსი ან შვიდი, — ნაკლები-კი არა, — ფუნთუშა ყმაწვილი, მორჩა და გათავდა. მერე არ არიან ჩვენში ელიკოსთანა ქალები? ძალიან ბევრი; მაგრამ საქმე იმაშია, რომ ავტორი ელიკოში ჩვენის ცხოვრების ცისარტყელის ნიშნებს ჰხედავს, რაც სრული შეცდომაა, ელიკო სრულებით სხვა გამოვიდა, ვიდრე ავტორს უნდოდა. ჩვენს



ცხოვრებაში უკვე ჩნდებიან ნიშნები ისეთი ქალებისა, რომლებსაც ფუქსავატი ცხოვრება, მარტო როიალზე ჟღარუნნი, ცეკვა, სულ კომპლიმენტები და სასაცილო ანეგდოტები აღარ იზიდავენ, რომლებსაც მარტო დედლობა და მხოლოდ შეილებს სამრავლებელი მანქანის დანიშნულების ასრულება და მამაკაცის გასართობ სათამაშოთ ყოფნა აღარ აკმაყოფილებთ. მაგრამ არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ ჯერ ჩვენი ცხოვრება მხოლოდ ნიშნებს იძლევა ასეთი ქალებისას და არა თვით ქალებს. ამიტომ ნიშნების მიხედვით მთელი ტიპის დახატვა ფრიად ძნელია და ასეთისაქმე მხოლოდ ძლიერსა და შორსმჭვრეტელ ნიქს შეუძლია.

დანარჩენ მომქედ პირებში მოხუცებულები გაცილებით უკეთესნი გამოვიდნენ, ვიდრე ახალგაზდანი. თუმცა მალხაზი და ნამეტურ ნიკო ავტორს ძალიან მოსწონს, მაგრამ სფირიღონი და დიმიტრი თავისი რწმენა-შეხედულებით და აზრებით უფრო მალღა დგანან, ვიდრე მალხაზი და ნიკო. მალხაზიცა და ნიკოც ცდილობენ, ჭკვიანთ დაგვისახონ თავისი თავი, მაგრამ ორივენი ხშირათ დიდ სისულელეს ლაპარაკობენ. სიყვარულის საკითხში მალხაზი ვერ გასცილება სოფლის ტეტისას, რომლის აზრითაც სიყვარული ორგვარია: უკანონო და კანონიერი; პირველი ჯოჯოხეთის კერძია, მეორე-კი ღვთის მოსაწონი; შეილებიც ორგვარი არიან: უკანონო და კანონიერი: უკანონო შეილების ყოლა დიდი უზნებობაა, კანონიერისა კი, თუნდა ასიც გყავდეს,—არც კაცი და არც ღმერთი არ გიწყენს! ეჰ, მართლაც დიდი უზნებობაა, როდესაც ზნეობრივი კითხვების გადაწყვეტას მალხაზისთანა პირები ჰკიდებენ ხელს. ნიკო დიდი სკეპტიკია, მას არაფერი არა სწამს,—არც საშუალო განათლება, არც უმაღლესი, გარდა სამეურნეო განათლებისა; როდესაც ინსტიტუტა ეუბნება: ავთამყოფებს ვუწამლებო, ის ლამის მზათ არის ენა გაულოკოს ასეთი სიტყვებისათვის და ამავე დროს, მისი აზრით, ექიმები თურმე სულყველა ხალხსა ხოცავენ, რადგანაც ეს დასაქცევი მეორე კურსი საშინელი ძნელი ყოფილა! ნიკო ხედავს, რომ თავდა-აზნაურობა იღუპება, ცხოვრება ქერქს იცვლის და ხსნას ის მეურნეობაში ხედავს: მისი აზრით, ყოველი ქართველი მეურნეობას უნდა დაადგეს. ნიკოს აზრი იგივე ავტორის აზრია. პიესაში ზევრგან გვითითებს ავტორი, რომ ქართველობის ხსნა მხოლოდ მეურნეობაშია, მაგრამ ამ აზრის დასამტკიცებლათ არავითარი საბუთი არ მოჰყავს. მეურნეობა ორგვარია: ნატურალური და კაპიტალისტური. ჩვენში დღეს უმთმერესათ მეურნეობა ნატურალურია; ავტორი-კი გვიწვევს კაპიტალისტური მეურნეობისაკენ. კაპიტალისტური მეურნეობა კაპიტალიზმის შეილია; ის ყველგან ევროპაში გაჩნდა მხოლოდ კაპიტალისტური წარმოების განვითარების შემდეგ; რამდენიც უნდა გვიმტკიცოს ავტორმა, მაინც ცხადია, რომ კაპიტალისტურ მეურნეობას, ცოდნას გარდა, ფულიც უნდა; იმ ქვეყანაში-კი, სადაც კაპიტალისტურ წარმოებას ახლათ შეუდგამს ფეხი და ჯერ საკმაოთ ვერ გაძლიერებულა, მეურნეობა უფრო ნაკლებ ზედმეტ ღირებულებას იძლევა, ვიდრე წარმოების სხვა დარგი და ამიტომაც უმეტესობამ რომ ნაკლები შემოსავალი ირჩიოს და მეტს თავი დაანებოს, ეს მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როდესაც უმეტესობა გავიყვლება. ამის გამო კაპიტალისტური წარმოების გაძლიერე-

ბამდე კაპიტალისტური მეურნეობის აყვავება ჩვენში უსაფუძვლო ოცნებათ მიმაჩნია და, კიდევ რომ არ მიმაჩნდეს, დღეს ყველასათვის ცხადია, რა გზას ადგია ჩვენი ცხოვრება, და სრული დარწმუნებულებით ვარ, რომ ბ-ნი ცაგარლის ქადაგება ამ გზიდან ჩვენს ერს ვეღარ დააბრუნებს.

ამით ვათავებ ამ კომედიის შესახებ ბაასს. უფრო ვრცლათ რომ გავჩერებულებიყავი, ეს არ შეადგენდა ჩემს მიზანს და არც იყო საამისოთ საყურადღებო ეს კომედია. მასში, ჩამოთვლილს გარდა, ბევრი ნაკლებღვანებაა—თუ ხელოვნებისა თუ ტენიკის მხრით, მაგრამ იმ რამოდენიმე საგულისხმო აზრის მიხედვით, რომლებსაც ამ კომედიაში შეხვდებით, მისი წარმოდგენა სასარგებლო იქნება ქართველი მაყურებლისათვის, რომელსაც ჯერ ბევრი შერჩენია თავადური აზრები.

ჩვენმა განხილვამ თუ მკითხველი ვერ დააკმაყოფილა, ამის მიზეზი ისევ წარსული წლის სიტყვა-კაზმული მწერლობის სისუსტეში ეძიოს. წარსული საუკუნე ჩვენმა სიტყვა-კაზმულმა მწერლობამ სოციოლოგიური კითხვების რკვევით დააბოლოვა და ვისურვოთ, რომ ახალ საუკუნეში უფრო მტკიცეთ და მეტის ნიქით ველოს ამ გზით.

ი. გომართელი.

აგეგმი სომხეთა სსმპრემიან.

სომხური ახალი ჟურნალები.—სომხური ბელეტრისტიკა.—სომხის საერო აზნანავობანი.

დამ წელს, ე. ი. მეტყე სუჟუნის დამდეგს სომხურ ჰერიოდულ გამცემებმა იმატეს: გამოცა ორი ახალი ჟურნალი და ერთმა ჟურნალმაც ფერი იცვალა—გადავიდა კაპიტალისტ რედაქტორის ხელში. სსენებული ორი ჟურნალი „ანატი“ (სომხეთა ძველ ღმერთთაგან ქალის სხეული) და „გუთანი“ გამოვიდა ზარაფში. ზირველს მიზნად აქვს სომხური კითხვის გავრცელება სსხდგარ კარეთ მეფე სომხეთა შორის; რედაქტორი ბ-ნი არაშაკ ჩაბანანცია. სსენებულ ჟურნალს აქვს დიდი ნაკლებეკანება, ერთი რომ ეს არ უგარჯა, ხალხისთვის მისაწადამი არ არის და მეორე—არა ჰყავს ერთგული თანამშრომლები, რის გამოცაც ჟურნალი მასალის მხრით ღარბია. ამისთვის მკითხველები ცოტა ჰყავს. გამოდის თვეში ერთხელ. მეორე ახალ ჟურნალს ეწოდება „გუთანი“, გამოდის აგრეთვე ზარაფში ბ-ნი გარ. მუწატურანცის რედაქტორობით, ეს ის კაცია, რომელმაც ამ ხუთის წლის წინეთ ტოვალისის კლუბის დაბანში აგრანომიის შესახებ ლექცია წაკითხა სომხურ ენაზე. „გუთანს“ მიზნათ აქვს გაავლიძის სომხეთა ერში მიწათ-მოქმედების და ხელობის სიყვარული. ამით გარდა ორი წელიწადის ზარაფში გამოდის სომხურ ენაზე სექტორგრაფიო, სოფილოლოგიო თვიური ჟურნალი „ბანასური“ (თილოლოგი) ბ-ნი გ. ბანასტიანის რედაქტორობით. თვიური ჟურნალი „მურჭი“ (ჩაქუხი) აი თარმეტი წელიწადია, რაც გამოდისდა ბ-ნი ავ. არანსანანცის რედაქტორობით, და რადგანაც ხელის მომწერლები ცოტა ჰყვანდა, ამიტომ ბევრი ვალი დაწვა თავზე, ვეღარ შესძლო მისი გამცემა და 12000 მანეთად მიჰყიდა ბაქაელ მილიანერს ბ-ნი კ. კრასილნიკიანცის, რომელმაც მოიწვია კარგი მწერლები, ზუბლიცისტები და შთარგმნელები და დიდის ენერგიით შეუდგა საქმეს. ამ წლის ზირველი ნომერი უკვე გამოვიდა და კარგ შთაბეჭდილებას ახდენს. ჟურნალს აქვს 288 გვერდი და დამატება დ. ტალსტაის თხ. „ადდგამა“ სმმს. ენაზე. ჟურნალში მოთავსებულია აგრეთვე ევრო-





შიელ გამოჩენილ ავტორების შესახებ წინადადებას წარმოადგინებდა.

როგორც გვეხსენება, ზეტერბურგში გამოვა ეფექტური სომხური გაზეთი, რომლის პრეზიდიუმს უკვე წარდგენილია დასამტკიცებლად, სადაც ჯერ არს.

მურიის მთავრობისათვის სასურველია.

ვინ არ იცის, რამდენი მკაბრეშუმე დაზარალებულია წლის განმავლობაში უვარგისი გრენისა და უმეტესად უცოდინარი გამოკვების გამო. ორსავე შემთხვევაში ბრალს გრენს სდებენ, რაც სინამდვილეს მოკლებულია. მაგ., გასულ წელს ერთი ექვს მისხლიანი კოლოფი გრენს გაუყავი შუაზედ ორ მკაბრეშუმეს. ერთმა მოიტანა ორ ფუთსე ცრტა მეტი სუკეთესო ზარკი და მიიღო ოცდა თორმეტი მანეთი და რამდენიმე კაბ. ხოლო მეორემ თუთხმეტი დღით ადრე განაჩხადა „თქვენი თესლი არ ვარგა, დეიდუმბ იმის გამოკეთებული და გამოდეკელი, რავა მე იმან დამდეუმბ, ერთი კაკალი ზარკი არ გაუკეთებია ნიმუშით, ჩემოულობა ბოლოდ რომ ჩეიქტია მუცელში სუნთელი მერე გეიყუყა, გაუყუყა იმის აქ მომტანს“ და სხვა ბევრი რამე შეგვივუთხრა. მართლაც, როგორც შეკრებილი ცნობებიდან აღმოჩნდა, არაფერი უკეთებია და ეს, არა გრენის უვარგისობისა, არამედ უცოდინარი გამოკვების გამო. სადათ მარტო იმ გრენს ვერ დავთვლით, რომელსაც საბრეშუმო სადგურის სისხლის ბეჭედი აზის, რადგან გრენს, ანუ ახალ გამოყვანილ ჭიას, „მიკრესკობიული გაშინჯვით, საცხარი სენი, ფლანგერი, არ გამოჩნდება. რა უნდა ქნან ჩვენმა მკაბრეშუმეებმა, რომ სადი გრენს შეიძინან? მიმართონ ისეთ ფერმებს, რომლებიც ცნობილია სუკეთესო გრენის მომზადებაში და დიდათ აფასებს თავის სახელს. თუმცა ესენი თავის მომზადებულ გრენს, შედარებით, ძვირათ ჭეიდიან, მაგრამ საჭიროა მკაბრეშუმეთათვის იუიდან ძვირათ და კარგი, ვინემ იათათ და ცუდი. ევრბანში არის ასეთი ფერმები, რომლებიც ერთ კილოგრამ (ათასი გრამი) გრენს ჭეიდიან 50—80 ფრანკამდის (ფრანკი 37 1/2 — კ.). ერთ კოლოფში საზოგადოთ ერთან 25—30 გრამს, ექვს-შვიდ მისხლს და ამ ფასების გამოხარებაში (50 X 37,5 = 18 მან. 75 კაბ, 80 X 37,5 = 30 მან.). ერთ კილოს შეხვდება 18 მ. 75 კაბ-იდან—30 მანეთამდის. ერთ კოლოფს-კი ექვს მისხლიანს 47—75 კაბ. ხოლო შვიდ მისხლიანს 57—91 კაბეკამდის. ეს არის დაბალი ხარისხის გრენს, სულ უბრალოთ მომზადებული, და ამას სიათვისთვის უფრო ეტანება ჩვენებური წვრილი ვაჭრები, რომლებსაც უფრო ჯიბის გასქელება აინტერესებთ, ვინემ მკაბრეშუმეების გაძლიერება. სწორედ ამ გვარ გრენს ასაღებად გასულ წელს ოსურგეთში ერთი საიდგანდაც მისული ჩანს, ერთი აქური ჩანჩის წყალობით, და ბევრი მკაბრეშუმეებიც დაზარადა. დაბალი ხარისხის გრენის გამოდეკელთ შეხვდებით ღანჩსუთის ვაჭრებშიაც, ჩხატაურში, ხიდისთავში და სხვაგანაც. — არან ისეთი ფერმები, რომლებიც ერთ კილოგრამ გრენს ჭეიდიან არა ხაკლებ 240—300 ფრანკის, რომლისგან ერთ კოლოფს შეხვდება 2 მ. 40 კაბ-იდან 3 მანეთამდის. ისეთებიც არან, რომელიც ჭეიდიან 600 ფრ. ერთი კილოს, ერთი კოლოფი-კი 6—7 მანეთად, მაგრამ ამ უკანასკნელს ამზადებენ ძლიან ცრტას და ხმარობენ მარტო ისინი, ვინც გრენს ამზადებს.

გურიის ამხანაგობა „შუამავალი“ ხმარობს ეფექტურ დონეს, რომ ამხანაგობის წევრთა და სხვა მკაბრეშუმეთ სადი გრენს მოუპოვოს. 1899 და 1900 წ. წ. ჭეიდა დაკვეთილი გამოჩენილი ფერმების გრენს, რამაც, მიუხედავად უკანასკნელი წლის

ჭიის გამოსაკვებთ ცუდი ამინდებისა, კარგი შედეგი მოიტანა. აი, ამ მდგომარე წდისთვის ამხანაგობას ჭეიდა დაკვეთილი და კიდევაც მიიღო სუკეთესო გრენს—თეთრი ბადადის ჭიბის და უფითელი ევრბანული. კოლოფებს ქართულ-რუსულათ აწერია „სკანგებოდ მომზადებულია გურიის ამხანაგობა „შუამავლისათვის“. გრენს დაურთდება ამხანაგობის წევრთ და სხვა მკაბრეშუმეთ ინსურის და თებერვლის თვეებში; წევრთ იმ ფასებში, როგორც ამხანაგობას უზის, დანარჩენთ—მცირედის მოკებით.

ს. კეიშვილი.

მარსელი.

ნაწყვეტები\*).

ყველა მკითხველს მოეხსენება, რომ ყოველ წლობით იცემა იჯარით საქმე სხვა-და-სხვა დაწესებულებებში. და აი ამისთანა საქმეში ზოგი ვის აწუხებს და ზოგი ვის, ოღონდ-კი გაუწიონ შუამდგომლობა. ზოგან დიდი ქრთამებიც-კი იხარჯება და ხშირათ არის იმისთანა შემთხვევაც, რომ ვაფლენიანი პირი საქმეს აკეთებს და ქრთამს იმისთანა ვინმე იღებს, რომ საქმის გამკეთებელმა სრულებით არც-კი იცის, მხოლოდ აკეთებს ხათრით და ზოგის პატივისცემით.

აი რანაირი ვნება მოუტანა წელს სამს კაცს ამისთანა პროტექციამ. 10 იანვარს იცემოდა იჯარით საქმე ქალაქ თფილისში. საიდგანაც იყო გაჩნდა ერთი ვილაც კ-ნაძე და მონახა იმისთანა კაცები, რომლებსაც უნდოდათ ეგრეთვე საქმის აღება. მოილაპარაკეს ერთმანეთთან და შესდგა ამხანაგობა ოთხ კაცთან ბ-ნი კ-ნაძეს მოთავეობით. ამან დააჯერა ყველა ამხანაგები, რომ მას ყავს იმისთანა კაცი, რომელიც ამ საქმეს გააკეთებს, მხოლოდ მისთვის საჭიროა ერთი მეხუთედი პროცენტი „ზალოგად“, რაიცა შეადგენს ას თუმანს. ეს ფული, რასაკვირველია, მაშინვე მოაგროვეს და მისცეს და მანაც იმათ თვალ-წინ შეიტანა „ზალოგათ“ თავის სახელზე და თვითონ მაშინვე გაქრა სადღაც. დანინშნაჯარო ვაჭრობა, მაგრამ ის აღარ გამოცხადდა. ამხანაგები იქით ეცენ, აქით ეცენ, მაგრამ კაცი ვეღარსად იპოვნეს, ერთმა დაუწყაო ძებნა ქალაქში, მეორემ—ქალაქს გარეთ და მესამე დადგა ყარაულათ იქ, საიდგანაც ზალოგი უნდა გაეტანა ბ-ნი კ-ნაძეს, მაგრამ ამაოთ. ბ-ნმა კ-ნაძემ მისცა ვეჭილობა ერთ თავის მოგვარე კაცს და ეს ფული ისე გაიტანა, რომ იმათ სრულებით არაფერი არ გაუგიათ. მიმართეს თხოვნით პოლიც-მისტერს, რომელმაც მოახდინა განკარგულება მოსაძებნათ. აი რა ახალმოდის ჯიბგრობა შემოსულა ჩვენში და ყველა ეს იმ დაწყვეტილი „პროტექციის“ ბრალია.

საყოველთაოთ ცნობილია, რომ ღვინო ბუნების ნაწარმოებია და არა ფაბრიკაში მომზადებული. ღვინოში რამის შერევა, რასაც ფალსიფიკაციას უწოდებენ, სასტიკათ იღვენება ყოველგან და კანონითაც ისჯება. რაც უნდა ღვინის მოყვარულიც იყოთ—თუ გითხრეს ეს და ეს ღვინო ფალსიფიკაციის ნაყოფიაო—არ დალევთ. მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ ყველაფრით ახირებულ ამერიკაში ეს ერთ ცრუ-მორწმუნეობათ გამოუცხადებიათ და ღვინის ისეთი ფაბრიკები გაუხსნიათ, როგორც მაუდის და ჩითის. ერთ იქაურ გაზეთში აი როგორი განცხადება დაბეჭდილი: „ქ. მილვანკში (ნიუ-იორკის ახლოს) აღორძინდა ისეთი ახალი მრეწველობა, რომელიც დიდად გადაჭარბებს ლუდის წარმოებას, ეს არის ღვინის მრეწველობა. ღვინის ფაბრიკაციას აწარმოებენ ბ. ბ. ტ. გ. და პ. და ამით დიდათ გაითქვეს სახელი. ამათ ფაბრიკაში „მოყვანილი“ ღვინო ღირსებით ჯობს ამერიკის ყველა ფაბრიკების ღვინოს. მათ იმდენი მუშტარი გაუჩნდათ, რომ საჭირო შეიქმნა ამ მრეწველობის სამჯერ გადიდებაო.“

როგორც ხედავთ, ამერიკელებს უარი უყვიათ ღვინის ბუნებრივობა და ფაბრიკის ნუნუას ჩინებულათ შეექცევიან.

\* ამ სათაურით ჩვენ მოვთავსებთ ეგრედ წოდებულ ახირებულ ამბებს, რომელიც ისე ხშირათ ხდება ყველა ერის ცხოვრებაში. განსაკუთრებით საჭიროა ასეთი ამბები ჩვენი ცხოვრებიდან იყვეს ამოკრული და იმედია მოგაწვდიან წარწერით „ნაწყვეტებისთვის“.



ვიურტემბერგის (გერმანიაში) მინისტრმა შემდეგი ახირებულნი ამბავი განაცხადა პარლამენტში ამ თვის 13-ს: ქ. ბალინგენის ხმოსანთა არჩევნების დღეს არც ერთი მეცნიერე არ გამოცხადებულა საარჩევნო დარბაზში, თვით არჩევნის გამგენიც-კი არ მოსულან. ქ. ურახშიაც ასე მოხდა. ხოლო როტენბურგის სოფლის საზოგადოებაში მოქალაქეთა თვის ნებით უარი უყვიათ საარჩევნო უფლება და ეს პოლიციელებისათვის დაუვალეობათ. მაგრამ რადგანაც პოლიციელი მოვალეა სხდომის დღე და საათი ხმოსანთ აუწყოს, ამისათვის ისიც მხოლოდ საბჭოს ახლო-მახლო მცხოვრებს ირჩევს ხმოსნებათ, რომ მერე შორს სიარული არ მოუხდეს. მეორე ალაგას საარჩევნო დარბაზში გამოცხადებულან მხოლოდ მკერვალები (სხვები შინ არ ყოფილან) და ამათაც სულ მკერვალები აურჩევიათო. აი საარჩევნო იდილიაც ამას ქვია!

**სამეცნიერო ცნობები**

I.

**რა გავლენა აქვს სხეულის რამედიმე ნაწილის ვარჯიშობას დასარჩენ ნაწილებზე?**

ამ ბოლო დრომდის ეგონათ, რომ სხეულის რომელიმე ნაწილის ვარჯიშობა მხოლოდ ამ ნაწილზე მოქმედობს, მაგრამ უფრო დასაზღვევით დაკვირვებამ დაარწმუნა მეცნიერნი, რომ დიდი დამოკიდებულება ყოფილა ამ მხრივ სხეულის სხვა-და-სხვა ასოების კუნთებზე, ანუ მუსკულებ შორის. ამ დასკვნას სრულებით ამართლებს საფრანგეთის მეცნიერების—კრონეკერისა და კიუტტერის—გამოკვლევა-დაკვირვებანი: მრავალი ცდით ისინი დარწმუნდნენ, რომ სხვა-და-სხვა სიმაღლის მთაზე ასვლის შემდეგ კაცს რონე ემატება არა მარტო მუსკლებში, არამედ მკლავებშიაც. საკვრადღებოა აქ ის გარემოება, რომ ხელები სრულებით მოკლებულნი იყვენ ვარჯიშობას, ასე, რომ მთაზე ანსვლელს და ჩამომსვლელს ხელში უბრალო წიკბლა-კი არა სჭერია. ამასთანავე მეცნიერებმა შენიშნეს, რომ ახალ-გაზღა და ჯან-საღ ადამიანს 1/3 ვერსტის სიმაღლის მთაზე დღე-ში ორჯელ ასვლა და ჩამოსვლა უმატებს რონეს, უმაგრებს ხელეების კუნთებს. უფრო მაღალ მთაზე, ასე სამ ვერსტზე, ასვლა ვარჯიშობას მიუჩვეველ კუნთებს ასუსტებს, მაგრამ სამი-ოთხი დღის შემდეგ, გაცილებით უმატებს ძალ-რონეს მკლავებშიაც. აქედან ის დასკვნა გამოჰყავთ, რომ კუნთების ზოგიერთი ვარჯიშობა ამაგრებს და აღონიერებს იმ კუნთებსაც-კი, რომელნიც ამ ვარჯიშობაში მონაწილეობას არ იღებენ. სხეულის ერთი ნაწილის ვარჯიშობის ასეთი გავლენა უნდა მიეწეროს იმ გარემოებას, რომ ვარჯიშობის დროს სისხლი მეტის აჩქარებით მოძრაობს და ყველა ნაწილებს უხვად ასაზრდოებს. მეორეს მხრივ—კუნთების რომელიმე ჯგუფის გადაქარბებული ვარჯიშობა, მუშაობა აჩენს სისხლში მავნე ნივთიერებას, რომლის მიზეზითაც უშრომო კუნთებიც იშხამება და სუსტდება; ამიტომ ამ ნივთიერების განდევნა მიუცილებლად საჭიროა, რათა ვარჯიშობას სასარგებლო შედეგი მოჰყვეს.

ფეხების კუნთების ზოგიერთ ვარჯიშობას კარგი გავლენა ჰქონია თვალის კუნთებზედაც და საზოგადოდ მხედველობაზე.

ამგვარსავე დამოკიდებულებას, მხოლოდ გონებრივ და ფიზიკურ ვარჯიშობაში, ამჩნევს იტალიის ცნობილი ფიზიოლოგი მოსსო. იმისი დაკვირვებით, კუნთების მოქანცვას მოსდევს ისეთივე შედეგები, როგორიც გონებით მუშაობის ორგანოების მოლაღვას. ნერვების უჯრები მეტად ნაზია, რის გამო თვითოეული მათგანი ყოველ ათი წამის შემდეგ თხოულობენ დასვენებას. ასე რომ ყოველ წამს გონებრივ მუშაობაში მონაწილეობას იღებენ მხოლოდ ზოგიერთი უჯრები მაშინ, როდესაც დანარჩენი უჯრები ისვენებენ. ამიტომ ძალიან ფრთხილათ უნდა მოვექცეთ გონებრივით მოქანცვას, მით უმეტეს, რომ კუნთების ყოველ-გვარი ვარჯიშობა არის იმავე დროს ნერვების ვარჯიშობაც, რადგანაც კუნთების გამგე და მბრძანებელი ისევ ნერვებია. ამის გამო რამდენათაც რთული და ძნელია ფიზიკური ვარჯიშობა, იმდენათ მეტად იღლება და სუსტდება ნერვებიც, ხოლო მუსკულების თან-და-თანობითი განვითარება გამოიწვევს ნერვების გამაგრება-განვითარებას.

უჩვენებს რა ამ დამოკიდებულებას გონებრივ და ფიზიკურ მუშაობის ორგანოებ შორის, მოსსო იმ დასკვნამდის მიდის, რომ ფიზიკური აღზრდა, ფიზიკური ვარჯიშობა, ხელს უწყობს არა მარ-

ტო კუნთების, არამედ ნერვების გამაგრება-განვითარებასაც. ამასთანავე ეს პროფესორი ამბობს, რომ ყმაწვილებს ცხრა წელიწადზე ადრე წერა-კითხვა არ უნდა დასწავლობთ და ამის შემდეგაც-ცხრამეტი კურს ვარჯიშობას გონებრივ ვარჯიშობაზე ნაკლები დრო არ უნდა დაეთმოსო.

**წერილი რედაქციის მიმართ.**

„**ვადის**“ მეათე ნომრის ბიბლიოგრაფიაში ამოვიკითხე, რომ ბ. თავართქილაძეს თავის „სახსლწლო საჩუქარში“ სხვა-თა შორის ჩემი ლექსი ზრახათ „ტუეშიც“ მოუთავსებია. ამ ლექსის დაბეჭდვის ნება მარტო ბ. ბართლამე კილაძის და მის, სტამბასა ჰქონდა ჩემგან აღებუდი. ვაცხადებ ამას, რომ ბ. კილაძემ სხვაფერად არ ჩამომართვას.

ქ ბაქო.

ია ეკალაძე—ცინცაძე.

რედაქტ.-გამომც. ან თ.-წერეთლისა.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ბ ი.

ОТКРЫТА ПОДПИСКА

ГОДЪ 2.

на 1901 г.

ГОДЪ 2.

на еженедельную

финансово-экономическую, торговую и промышленно-техническую газету

**„Промышленный Миръ“**

Газета „Промышленный Миръ“ выходит еженедельно, въ объемѣ около 3 листовъ текста, и содержитъ слѣдующіе отдѣлы:

- I. Правительственныя распоряженія.
- II. Статьи, обзоры и корреспонденціи по финансово-экономическимъ и торгово-промышленнымъ вопросамъ.
- III. Хроника.
- IV. Кредитъ и банковое дѣло.
- V. Акціонерное дѣло.
- VI. Фабрично-заводскій отдѣлъ.
- VII. Горное дѣло.
- VIII. Хлѣбная торговля и мукомольная промышленность.
- IX. Страховое дѣло.
- X. Обзоры новѣйшихъ изобрѣтеній въ области техники.
- XI. Пути сообщенія, тарифы, фрахты.
- XII. Обзоръ печати и библиографія.
- XIII. Вопросы и отвѣты (практическія свѣдѣнія, указанія и сообщенія промышленнымъ дѣятелямъ).
- XIV. Объявленія.

Редакція газеты „Промышленный Миръ“ относится съ полнымъ безпристрастіемъ ко всякому обоснованному мнѣнію по вопросамъ нашего экономическаго быта.

Столбцы газеты открыты какъ для представителей экономической науки, такъ и для просвѣщенныхъ практическихъ дѣятелей которые прямо заинтересованы въ томъ, чтобы нужды разныхъ отраслей торгово-промышленной дѣятельности своевременно оставались на себѣ вниманіе общества и правительства.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА СЪ ПЕРЕСЫЛКОЙ И ДОСТАВКОЙ:

на годъ—10 руб., полгода—5 руб. и четверть года—3 руб. Подписка принимается въ конторѣ редакціи: С.-Петербургъ, Коломенская ул., д. № 1, и во всѣхъ книжныхъ магазинахъ. (3—1) Редакторъ-Издатель А. С. Залашутинъ.

**გამოვიდა და იყიდევა**

ყველა წიგნის მალაზიებში ახალი წიგნი

**„ქართული პრესა“**

წიგნები სოე ყოფილანისი, გამოცემა „შრომის“ ამხანაგობისა, ფასი 25 კაპ.